# ლელო

№ 49 (11 198)

24 – 26 ივნისი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# გაეროს გამოხმაურება

## გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიმართვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიმართ რბენის ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მისი დაფუძნების დღიდან ისახავდა მიზნად უკეთესი სამყაროს შექმნას სპორტისა და ოლიმპიური იდეალების მეშვეობით. ამ მცნებამ უნიკალური გამაერთიანებელი როლი შეასრულა საერთაშორისო ჰარმონიის დამყარებაში, ძირითადად მსოფლიოს ახალგაზრდობაში და გააუმჯობესა ურთიერთგაგება სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს შორის.

სოკ-ი აქტიურ მხარდაჭერას გამოხატავდა გაეროსა და მისი პროგრამების მიმართ. მრავალი ჩვენი ერთობლივი საქმიანობა განვითარების, ჰუმანიტარული დახმარების, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მკაფიოდ ადასტურებს ჭეშმარიტი პატრიოტიზმის უდიდეს როლს მსოფლიოში არსებული პრობლემების შემსუბუქების საქმეში.

რბენის ოლიმპიურ დღეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ეოკ-თა უმრავლესობის ინიციატივა მთელს მსოფლიოში გავრცელდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ეს ღონისძიება სხვადასხვა ქვეყნის ხალხს მოუყრის თავს გაეროს ქარტიით დასახული მიზნების განსახორციელებლად. ამრიგად, გაეროს სახელით სიამოვნებით გამოვხატავ ჩემს საუკეთესო სურვილებს და მადლიერებას რბენის დღეში ყველა მონაწილის მიმართ. ამასთანავე იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ პარტნიორულ თანამშრომლობას მშვიდობისა და ცხოვრების უკეთესი სტანდარტების დასამკვიდრებლად.

კოფი ანანი

**პოლიტიკაში სპორტული საქართველო მოდის!**

# შაბათს, საზოგადოება „სპორტული საქართველო“ დაფუძნდება

ამას წინათ, „ლელო“ იტყობინებოდა, რომ თბილისში დაიწყო მოძრაობა, რომლის მიზანი იყო საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა კავშირის შექმნა. ჩამოყალიბების შემთხვევაში იგი, ამავე დროს პოლიტიკური ორგანიზაცია იქნებოდა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებდა მონაწილეობას. სპორტსმენებს არ სჩვევიათ აჩქარება და რამდენიმე ხანს დინჯად განიხილებოდა კავშირის შექმნის ორგანიზაციული საკითხები. ამ დღეებში კი საინიციატივო ჯგუფმა, ასე ვთქვათ, მთავარი სხდომა გამართა და გამოწვლილვით განიხილა დამფუძნებელი ყრილობისათვის მზადების მიმდინარეობა. გადაწყდა, რომ შეიქმნას არა კავშირი, არამედ საზოგადოება „სპორტული საქართველო“.

იმსჯელეს აგრეთვე ერთ-ერთ უმთავრეს საკითხზე საზოგადოების თავმჯდომარის კანდიდატურაზე. საინიციატივო ჯგუფმა ერთხმად დაუჭირა მხარი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რომან რურუას კანდიდატურას. იცნობენ რა ამ შესანიშნავი ფალავნის პირად და საზოგადოებრივ საქმიანობას, მის პრინციპულობას, პატრიოტიზმს, საერთო საქმისადმი დამოკიდებულებას და ეკონომიკურ საკითხებში ღრმა განსწავლულობას, საქართველოს სპორტული სამყარო მიიჩნევს, რომ სწორედ რომან რურუა იქნება ახალი ორგანიზაციის ღირსეული თავმჯდომარე.

**საზოგადოება „სპორტული საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობა შაბათს, 27 ივნისს, 15 საათზე ჩატარდება თბილისის ჭადრაკის სასახლეში. რეგისტრაცია დაიწყება 14 საათიდან.**

„გუმათი“ – „ლელო“



# ახლა კი, ბრინჯაოს მედალი!

**ფოთელმა მოკრივემ, მსუბუქი წონის კობა გოგოლაძემ ევროპული ჩემპიონატის „ვერცხლი“, რომელიც მან ამ გაზაფხულზე მინსკის რინგზე მოიპოვა, ჩინეთის ქალაქ ჩონ-ქვინგში მსოფლიო თასის გათამაშებაზე ბრინჯაოდ „გადაადნო“. მასთან ერთად იქ გამოდიოდა გორელი თამაზ გაზაშვილი (უმძიმესი წონა).**

# ოღონდაც ფულზე გვარს და ეროვნებას ნუ გაყიდით!

ქართულ კრივში ისეთი მოვლენები ხდება, პროცესს ვერც აღმასვლას უწოდებ, ვერც დაღმასვლას. რაღაც საშუალო ვითარებაა და საით გადაიხრება სასწორი, ჯერ კაცმა არ იცის. ერთის მხრივ, აშკარაა საქართველოში კრივის ცენტრების გამოცოცხლება, ჩნდებიან ახალი კერებიც, რაც რჩეული ქართველი მოკრივეების ბოლოდროინდელ წარმატებებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მეორეს მხრივ, იგივე ცნობილ მოკრივეთა შეუჩერებელი მიგრაცია უცხოეთში, ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს სპორტის ამ ჭეშმარიტად რაინდულ სახეობაში წელში გამართვის საშუალებას არ აძლევს. თუმცა, ეს „სენი“ სპორტის სხვა სახეობებისთვისაც არაა უცხო ჩვენში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ზოგჯერ ისეთ მდგომარეობაში ვართ, არც კი ვიცით, გავიხაროთ თუ არა ჩვენი სპორტსმენების წარმატებებით. პარადოქსია, არა? სამაგიეროდ, სავსებით ბუნებრივია, რომ ესა თუ ის მიღწევა სპორტსმენის ბიოგრაფიაში, მისი ცხოვრების შემობრუნების ფაქტორად იქცევა ხოლმე – ვიღაც თვალს დაადგამს და...

რას იზამ, სპორტსმენს ყოველთვის როდი ეძლევა მრავალწლიანი ოფლისღვრის სათანადო დაფასების შანსი!

მაინც რა ვქნათ, გავიხაროთ თუ დავნაღვლიანდეთ ქართველი სპორტსმენების საერთაშორისო სარბიელზე გაბრწყინებით? ცხადია, უნდა გავიხაროთ, მაგრამ არც იმის უფლება გვაქვს, განვსაჯოთ თუ რატომ მიდის სამშობლოდან, როცა რომელიმე ქვეყანა უკეთეს ცხოვრებას და დაოსტატების პირობებს ჰპირდება. ვიმეორებთ, უნდა გავიხაროთ, ოღონდ... ოღონდ ის ნამდვილად გვეწყინება, როცა ზოგიერთი გვარსაც და ეროვნებასაც ფულზე ჰყიდის...

**«მრეტები» – «დინამო»**

## სასამართლო მეექვსეჯერ გადაიდო განახლდება 13 ივლისს, 13 საათზე

ფინანსური დავა საფეხბურთო კლუბებს „მრეტებსა“ და „დინამოს“ შორის უკვე დაუსრულებლად გაჭიანურებულ საქმეთა კატეგორიაში გადადის. გუშინ, 23 ივნისს, ვაკის რაიონის სასამართლოში მეექვსედ შეიკრიბა სასამართლო და რამდენიმე წუთში პროცესი შეწყდა – მეექვსეჯერ გადაიდო. მიზეზი – „მრეტების“ ადვოკატის გამოუცხადებლობა.

„მრეტების“ ინტერესების დამცველმა გერმანულმა საადვოკატო ფირმამ კარგად იცის რა მოიმოქმედოს. ამჯერადაც სასამართლო ფაქტის წინაშე დააყენეს, და პროცესის გადადების საფუძველი შექმნეს. მოდავეს დრო გაჰყავს, რაც ადასტურებს „მრეტებისა“ და სფფ-ს ალიანსს – განუცხადა გადადებული სასამართლო პროცესის შემდეგ „ლელოს“ კორესპონდენტს „დინამოს“ ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

# შოტლანდია – მაროკო 0-3
# ბრაზილია – ნორვეგია 1-2
# იტალია – ავსტრია 2-1
# კამერუნი – ჩილე 1-1

**მერვედფინალში ითამაშებენ:**

# ბრაზილია – ჩილე, იტალია – ნორვეგია

**ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩები და არბიტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.VI | საფრანგეთი – დანია | 18.00 | პ. კოლინა (იტალია) |
| | სამხ. აფრიკა – საუდეთი | 18.00 | მ.ს. იანტენი (ჩილე) |
| | ესპანეთი – ბულგარეთი | 23.00 | მ. ვან დერ ენდე (ჰოლანდია) |
| | ნიგერია – პარაგვაი | 23.00 | პ. პრასერტი (ტაილანდი) |
| 25.VI | ჰოლანდია მექსიკა | 18.00 | ა.რ. ალ ზაედი (საუდეთი) |
| | ბელგია – სამხ. კორეა | 18.00 | მ.რ. დე ფრიტასი (ბრაზილია) |
| | გერმანია – ირანი | 23.00 | ე.გ. ჩავესი (პარაგვაი) |
| | აშშ – იუგოსლავია | 23.00 | ჯ. განდური (ეგვიპტე) |
| 26.VI | არგენტინა – ხორვატია | 18.00 | ს. ბერკოლა (მაროკო) |
| | იაპონია – იამაიკა | 18.00 | გ. ბენკო (ავსტრია) |
| | რუმინეთი – ტუნისი | 23.00 | ე.ელინი (ავსტრალია) |
| | კოლუმბია – ინგლისი | 23.00 | ა.ბ. კარტერი (მექსიკა) |

**მატჩი №36. სენტ-ეტიენი. „ჟოფრე-გიშპარდი“. 36 000 მაყურებელი.**

**შოტლანდია – მაროკო 0-3 (0-1)**

*შოტლანდია:* ლეიტონი, ბოიდი, ვეირი, ჰენდრი, დეილი, მაკმანარა (მაკინლი, 69), ბარლი, ლამბერტი, კოლინზი, გალაჰერი, დიური (ბუტი, 86).

*მაროკო:* ბენზეკერი, საბერი (როსი, 77), ტრიკი, ნაიბეტი, მ. ჰაჯი, ჰადა, ბასირი, აბრამი, ამზინი, ჩიპო (სელამი, 90), ხალეჯი.

*გოლები:* ბასირი (22, 88), ჰადა (50).

*გააფრთხილეს:* გალაჰერი, ჩიპო.

*გააძევეს:* ბარლი (60).

*მსაჯი:* ბ. სალამი (საემიროები).

მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდს ავალდებულებდა მხოლოდ გამარჯვებისათვის ებრძოლათ, მეტოქეებმა მატჩი ფრთხილად დაიწყეს. აფრიკელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა – უფრო მრავალფეროვნად უტევდნენ, ბრიტანელები კი ჩვეულ სტილს არ ღალატობდნენ და ცდილობდნენ დამაგვირგვინებელი დარტყმა თავით შეესრულებინათ. ამგვარმა ტაქტიკამ წარმატება მაროკოელებს მოუტანა – ტაიმის შუაწელში მათ სწრაფი შეტევა განახორციელეს, აშკარად შეცდნენ ბრიტანელთა ცენტრალური მცველები, რომლებმაც საკუთარ კართან უმეთვალყურეოდ დატოვეს ბასირი, მან კი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ამის შემდეგ შოტლანდიელები გააქტიურდნენ და რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს. ერთხელაც, როცა ბურთი აფრიკელთა საჯარიმოში ტრიალებდა, აშკარად მოხვდა ხელზე აბრამის, მაგრამ არბიტრმა წესის დარღვევა არ დააფიქსირა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ჰადა სწრაფად შეიჭრა შოტლანდიელთა საჯარიმოში და თავზე გადაუგდო ბურთი ლეიტონს. ამით ბრიტანელთა ფათერაკები არ დასრულებულა – უკნიდან მეტოქის „ჩაჩეხვისათვის“ გააძევეს ბარლი, რის შემდეგაც ნათელი გახდა, რომ შოტლანდიელებს აღარაფერი ესაქმებოდათ საფრანგეთში.

**მატჩი №35. მარსელი. „ველოდრომი“. 60000 მაყურებელი.**

**ბრაზილია – ნორვეგია 1-2 (0-0)**

*ბრაზილია:* ტაფარელი, კაფუ, რობერტო კარლოსი, ჟუნიორ ბაიანო, დუნგა, ლეონარდო, დენილსონი, რივალდო, რონალდო, ბებეტო.

*ნორვეგია:* გროდასი, ეგენი, ბიორნბიუ, ბერგი, იონსენი, ლეონარდსენი, რეკდალი, ი. ფლო, სტრანდი (მიუკლანდი, 46), ჰ. ფლო (სოლსკიაერი, 67), ტ.ა. ფლო.

*გოლები:* 1-0 ბებეტო (78), 1-1 ტ.ა. ფლო (84), 1-2 რეკდალი (89, პენ.)

*გაფრთხილება:* ლეონარდსენი, მიუკლანდი.

*მსაჯი:* პ. უნ პრასეტი (ტაილანდი).



ნორვეგიელმა ტ.ა. ფლომ გუშინ შესანიშნავად ითამაშა

ბრაზილიელებს განაღდებული ჰქონდათ ჯგუფში პირველი ადგილი, ხოლო ნორვეგიელებს, რომელთაც მეორე ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ, საკმაოდ რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაჭრელი – სკანდინავიელებს აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ.

შეხვედრა ბრაზილიელთა უპირატესობით დაიწყო. მათ ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოჩნდნენ გონსალვეში და დენილსონი. ეს უკანასკნელი მატჩის დებიუტში აქტიურობდა, მაგრამ თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია. თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში ხეირიანი საგოლე მომენტი არ შექმნილა, თუ არ ჩავთვლით ტ.ა. ფლოს ორ სახიფათო დარტყმას. ერთხელ მან შორი მანძილიდან სცადა გოლის გატანა, მაგრამ ტაფარელმა აიღო, ხოლო მეორედ გონსალვეშმა მიიღო თავის თავზე ფორვარდის უძლიერესი დარტყმა. გასაკვირი იყო ბრაზილიელთა უაღრესად მდარე თამაში. ყველაზე რეალური შანსი ანგარიშის გახსნისა კაფუს მიეცა, მაგრამ რონალდოსთან გათამაშებული „კედლის“ შემდეგ არაზუსტად დაარტყა.

მეორე ნახევრის დასაწყისიც ანალოგიური გახლდათ, იმ განსხვავებით, რომ სკანდინავიელებმა იგრძნეს რა ჩემპიონატის დატოვების საფრთხე, თამაში გაშალეს და შეტევებს უმატეს. ტ.ა. ფლო უდავოდ საუკეთესო იყო ამ

იხ. მე-2 გვ.

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | | 2-1 | 3-0 | 1-2 | 6-3 | 6 |
| 2. | შოტლანდია | 1-2 | | 0-3 | 1-1 | 2-6 | 1 |
| 3. | მაროკო | 0-3 | 3-0 | | 2-2 | 5-5 | 4 |
| 4. | ნორვეგია | 2-1 | 1-1 | 2-2 | | 5-4 | 5 |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | | 2-2 | 3-0 | 2-1 | 7-3 | 7 |
| 2. | ჩილე | 2-2 | | 1-1 | 1-1 | 4-4 | 3 |
| 3. | კამერუნი | 0-3 | 1-1 | | 1-1 | 2-5 | 2 |
| 4. | ავსტრია | 1-2 | 1-1 | 1-1 | | 3-4 | 2 |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | | 3-0 | 4-0 | | | |
| 2. | სამხ. აფრიკა | 0-3 | | | 1-1 | | |
| 3. | საუდ.არაბეთი | 0-4 | | | 0-1 | | |
| 4. | დანია | | 1-1 | 1-0 | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ესპანეთი | | 2-3 | 0-0 | | | |
| 2. | ნიგერია | 3-2 | | | 1-0 | | |
| 3. | პარაგვაი | 0-0 | | | 0-0 | | |
| 4. | ბულგარეთი | | 0-1 | 0-0 | | | |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჰოლანდია | | 0-0 | 5-0 | | | |
| 2. | ბელგია | 0-0 | | | 2-2 | | |
| 3. | სამხ. კორეა | 0-5 | | | 1-3 | | |
| 4. | მექსიკა | | 2-2 | 3-1 | | | |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გერმანია | | 2-0 | 2-2 | | | |
| 2. | აშშ | 0-2 | | | 1-2 | | |
| 3. | იუგოსლავია | 2-2 | | | 1-0 | | |
| 4. | ირანი | | 2-1 | 0-1 | | | |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რუმინეთი | | 1-0 | 2-1 | | | |
| 2. | კოლუმბია | 0-1 | | | 1-0 | | |
| 3. | ინგლისი | 1-2 | | | 2-0 | | |
| 4. | ტუნისი | | 0-1 | 0-2 | | | |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | არგენტინა | | 1-0 | 5-0 | | | |
| 2. | იაპონია | 0-1 | | | 0-1 | | |
| 3. | იამაიკა | 0-5 | | | 1-3 | | |
| 4. | ხორვატია | | 1-0 | 3-1 | | | |

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98
COUPE DU MONDE

*(პირველი გვერდიდან)*

შეხვედრაში. მან აშკარად დაჯაბნა თავისი მეურვე ჟუნიორ ბაიანო. 68-ე წუთზე ტანმაღალმა ნორვეგიელმა რეალური საგოლე მომენტი შეუქმნა სოლსკიაერს, მაგრამ ამ უკანასკნელის თავური დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. ორიოდე წუთში ისევ ტ.ა. ფლო ცდილობდა თავით მიეღწია მიზნისთვის. ბურთმა ოდნავ გადაუფრინა ხარიხას.

ბოლო 15 წუთი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ჩემპიონატის ერთ-ერთ მშვენებად. ასეთი უსახური თამაშის შემდეგ გუნდებმა ელვის სისწრაფით განავითარეს შეტევები. 76-ე წუთზე ბებეტოს ცოტაღა დააკლდა, რათა რონალდოს მშვენიერი პასის შემდეგ ანგარიში გაეხსნა. თუმცა გამოცდილმა ფორვარდმა მაინც შეძლო გოლის გატანა. იგი დენილსონის მარცხენა ფლანგზე აქტიურობას თავური დარტყმით გამოეხმაურა და დააწინაურა თავისიანები. დარჩენილ წუთებში კი ნორვეგიელებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს. 84-ე წუთზე ტ.ა. ფლომ კვლავ მოატყუა ჟუნიორ ბაიანო და უშანსოდ დატოვა ტაფარელი. „ჩელსის“ ფეხბურთელმა კიდევ ორი მომენტი შექმნა, მაგრამ ორივეჯერ ოდნავ დააკლდა სიზუსტე. მატჩის უკანასკნელ წუთებზე კი ნორვეგიელებს გარჯა დაუფასდათ, თუმცა ამაში ნაწილობრივ მსაჯიც დაეხმარა, რომელმაც ცოტა არ იყოს, საეჭვო 11-მეტრიანი დანიშნა ბრაზილიელთა კარში. რეკდალმა ასეთი შანსი გამოიყენა და ამ გოლით ნორვეგია მერვედფინალში გაიყვანა. სკანდინაველებმა მართლაც სიურპრიზი მოუმზადეს თავის გულშემატკივრებს. ბრაზილიელებმა კი ვერ იძიეს შური შარშანდელი წაგებისათვის (2-4).

აშკარაა, რომ ბრაზილია ძალიან შორსაა საუკეთესო ფორმისაგან და მარიო ზაგალოს სერიოზული მუშაობა დასჭირდება, რათა სირცხვილნაჭამი არ დაბრუნდეს სამშობლოში. ეს საფრთხე მერვედფინალშივეა მოსალოდნელი, რადგან ბრაზილიელებს წინ ჩილის ძლიერი გუნდთან შეხვედრა ელოდებათ.

## ფუტიქსის სააგენტო



**ათასობით** იტალიელმა ტიფოზმა მოიყარა თავი რომის ცენტრალურ ქუჩებში, რათა კამერუნელებთან მოგებული შეხვედრა აღენიშნათ. თითქმის მთელი მოსახლეობა უყურებდა ამ მატჩს ტელევიზიით, ან ქუჩებში — დიდ მონიტორებზე და ბარებში. შეხვედრის დამთავრებისთანავე გულშემატკივრებმა გაავსეს „პიაცა ვენეცია ვია დელ კორსოს,“ „პიაცა დელ პოპოლოს“ და „ვია დელ ტრიტონეს“ ქუჩები და გაჰყვიროდნენ „Italia Campion del mondo!“

ტიფოზებმა დროშებით, დასარტყმელი ინსტრუმენტებით და საყვირებით ტემპერამენტიანი ცეკვები გააჩაღეს. მნახველები ამტკიცებენ, რომ ასეთი მხიარულება რომში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც კი არ ყოფილა.

**არგენტინის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ ჩილე-ავსტრიის შეხვედრაში ბოლო წუთზე ლათინოამერიკელთა კარში გატანილ გოლში სალასი და სამორანო დაადანაშაულა: „ისინი, ანუ ჩილელები, სამნი იყვნენ ორი ავსტრიელი მცველის წინაამდეგ, დაჰკარგეს ბურთი, რის შემდეგაც ავსტრიელმა ვასტიჩმა გოლი გაიტანა; გარდა ამისა ცნობილმა ფორვარდებმა ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს“.



პატრიკ მბომა

**№34 მატჩი. ნანტი. „ბიჟიუ“. 40 000 მაყურებელი.**
**ჩილე — კამერუნი 1-1 (1-0)**

***ჩილე:*** **ტაპია, ფუენტესი, როხასი (რამირესი, 78), მარგასი, რეიესი, პარაგუსი, აკუნია, სამორანო, სიერა (ესტეი, 71), სალასი, ვილიაროელი (კორნეხო, 70).**
***კამერუნი:*** **სონგო, ვომე, სონგი, ნჯანკა, ომან ბიიკი, მბომა, ეტო, ნდო (ეტამე, 81), მახუვე, ოლემბე (ანგიბო, 71), ჟობი (ჩამი, 73).**
***გოლები:*** **1-0 სიერა (21), 1-1 მბომა (56).**
***გააფრთხილეს:*** **სონგი, როხასი.**
***გააძევეს:*** **სონგი, ეტამე.**
***მსაჯი:*** **ალი ბოჰამედ ბუსაიმი (საამიროები).**

ამ შეხვედრის პრინციპულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ორივე გუნდს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა, რათა მერვედფინალში გასვლის შანსი გასჩენდა. თამაში სანახაობრივი თვალსაზრისით ვერ „მოიწონებდა თავს“. საწყისი 5 წუთი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ხშირი იყო არაზუსტი პასები, უაზრო, უმისამართო გადაცემები. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს კარგად ესმოდათ ამ შეხვედრის პრინციპულობა და, ასე ვთქვათ, ამ მატჩში ადაპტაცია, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ. ამიტომ იყო, რომ შეხვედრის დებიუტში ნერვულად, დაძაბულად თამაშობდნენ და ეს „ბარიერი“ იყო უზუსტო პასების, უაზრო, უნიათო თამაშის ძირითადი მიზეზი.

პირველი სახიფათო მომენტი მე-13 წუთზე კამერუნის კართან შეიქმნა, როდესაც ჩილელმა ხოსე სიერამ ჯარიმა ჩააწოდა და ფრანცისკო როხასი თავური დარტყმით კარისკენ გზავნიდა ბურთს, მაგრამ ბრწყინვალედ იმოქმედა ჟაკ სონგომ და ბურთი კუთხურზე მოიგერია. პირველი ტაიმი ძირითადად სამხრეთ ამერიკელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მოედნის ცენტრში უპირატესობა მთლიანად მათ ეპყრათ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი სათამაშო სიტუაციიდან ვერ შექმნეს. ის ერთადერთი გოლი კი ჩილელთა მეათე ნომერმა ხოსე სიერამ დაახლოებით 22 მეტრიდან აუღებელი ჯარიმით შეასრულა, მეკარისაგან მარცხენა ცხრიანში. გაშვებული გოლის შემდეგ კამერუნი გააქტიურდა, ცდილობდა რაიმე ღირებულის შექმნას, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ მცველები.

შესვენების შემდეგ მოვლენები საპირისპირო სცენარით განვითარდა. კამერუნელი ფეხბურთელები აგრესიულად ათამაშდნენ და 45-ე წუთზევე პატრიკ მბომას შეეძლო თანაფარდობის აღდგენა — ორ მცველთან ჭიდილში საჯარიმოში შეიჭრა და 10-12 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ნელსონ ტაპიამ კარგად ითამაშა. აფრიკელთა გამუდმებულმა შეტევებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ორი ფეხბურთელი მსაჯმა გააძევა, ნაყოფი გამოიღო და იმავე პატრიკ მბომამ ბრწყინვალე თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ეს კი ჩილეს აძლევდა ხელს, კამერუნი მერვედფინალში რომ გასულიყო კიდევ ერთი ბურთი გატანა ესაჭიროებოდა, მაგრამ 9 ფეხბურთელით ამის გაკეთება, ცოტა არ იყოს, სენსაციას განეკუთვნებოდა. ამდაგვარი რამ, ცხადია, არ მოხდა და კამერუნმა, ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო.

**მატჩი №33. სენ-დენი. „ფრანსე“. 80 000 მაყურებელი**
**იტალია - ავსტრია 2-1 (0-0)**

***იტალია:*** **პალიუკა, მალდინი, კანავარო, კოსტაკურტა, ნესტა (ბერგომი, 3), პესოტო, დ. ბაჯო, დ. ბიაჯო, მორიერო, დელ პიერო (რ. ბაჯო, 72), ვიერი (ინძაგი, 61).**
***ავსტრია:*** **კონსელი, შოტელი, პფეფერი, ფაირზინგერი, პფაიფენბერგერი (ჰერცოგი, 80), კუხბაუერი (შტოგერი, 75), მაილიხი, ვასტიჩი, რაინმაიერი, ვეტლი, პოლსტერი (ჰაასი, 65).**
***გოლები:*** **ვიერი (48), ბაჯო (88), ჰერცოგი (პენ. 90).**
***გააფრთხილეს:*** **შოტელი, ფაიერზინგერი, ვასტიჩი, მალდინი.**
***მსაჯი:*** **პოლ დარტონი (ინგლისი)**

აპენინელებს ჩრდილოელი მეზობლები გაუძალიანდნენ, კარგა ჯიგრიანად ეთამაშნენ, ხელსაყრელი მომენტები გააცუდეს, მსაჯს ერთზე მეტი თერთმეტმეტრიანები „ვერ დასტყუეს“ (ჯერ მალდინიმ მოქაჩა მაისურზე ვასტიჩს, შემდეგ ინძაგიმ მამაპაპურად უთავაზა წიხლი პფეფერს), ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ტონი პოლსტერი „დროულად“ შეცვალეს და იტალიელთა უფრო მაღალი კლასის წინაამდეგ საბოლოოდ ვერაფერი გააწყვეს. ისე კი ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩები, რომ უთუოდ განსაკუთრებულად საინტერესოდ წარიმართება, ამის იმედი ავსტრიელებმა ნამდვილად ჩაგვისახეს — ჰერბერტ პროხაზკას გუნდმა პირველი ორი შეხვედრა მდარედ კი ჩაატარა, ხოლო გადამწყვეტ და პრინციპულ მატჩში მთელის მშვენებით წარსდგა, შეხვედრის ბოლო წამებამდე მერვედფინალში გასვლის შანსსაც ინარჩუნებდა, მაგრამ დელ პიეროსა და ბაჯოს გადამკიდე...

კონსელის კართან ვიერის მიერ შექმნილ პირველ ხიფათს ავსტრიელებმა პფაიფენბერგერი-პოლსტერის კომბინაციით უპასუხეს და კანავაროს რომ არ ეყოჩაღა, პალიუკას მეტად გაუჭირდებოდა სახელოვან სნაიპერთან ორთაბრძოლა. შემდეგ მეტოქის საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილ მორიეროს შეეძლო ანგარიშის გახსნა, რომელმაც პესოტოს კარგი პასი ვერ შეიშნო. მერე კი პოლსტერმა ითამაშა უხეიროდ — ვეტლი-ვასტიჩის გარჯას იტალიელთა კართან 4-5 მეტრით მდგომმა ცაცია ისე მოიქნია, რომ ბურთს საერთოდ ვერ შეეხო.

მეორე ტაიმის დასაწყისში იტალიელებმა შესძლეს თავიანთი კლასისა და სუპერმოთამაშეების უფრო უნარიანად, პროდუქტიულად გამოყენება და გოლმაც არ დააყოვნა — დელ პიერომ მისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ისე შეასრულა მარცხენა ფლანგიდან, რომ ვიერის ვერც პოლსტერმა, ვერც პფაიფენბერგერმა და ვერც კონსელმა (იტალიელთა ფორვარდი მათ გარემოცვაში იმყოფებოდა) ვერ შეუშალეს ხელი უნაკლო თავურში. ავსტრიელები კიდევ უფრო მეტი ჟინითა და ფხით ათამაშდნენ, ყველაზე კარგი მომენტი ვეტლს ჰქონდა, რომელმაც პალიუკასთან ახლოსა და ზურგით მდგომმა მაინცდამაინც მაკრატელათი მოინდომა გოლის გატანა, მაგრამ დარტყმა მეტად სუსტი გამოუვიდა და პალიუკამაც შეძლო ბურთის მოგერიება. პროხაზკას ბიჭებს სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა კი გააჩნდათ, მაგრამ იტალიელები აბა რის იტალიელები არიან კონტრშეტევაზე რომ არ გამოიჭირონ მეტოქე — ბაჯო-ინძაგი-ბაჯიო სწრაფი „კედელის“ შემდეგ აპენინელები ორი ბურთით დაწინაურდნენ. ავსტრიელები ვერც ამან გატეხა, უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და რაინმაიერის კოსტაკურტამ ისეთი სარმა გამოსდო, რომ ჰერცოგმა პენალტით პრესტიჟის გოლითღა დააშოშმინა ავსტრიელები.



ვიერიმ ჩემპიონატში მეოთხე გოლი გაიტანა

„ლელოს“ ამ ნომრისათვის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასალები მოამზადეს: ჯემალ ჭიკაშვილმა, დათო თავართქილაძემ, გოგა ლომიძემ, ილია ნანობაშვილმა და გია ახალაძემ.



რუმინეთი — ინგლისი



**მატჩი №32. ტულუზა. „სტად მუნისიპალი“. 37500 მაყურებელი**
**რუმინეთი — ინგლისი 2-1 (0-0)**

***რუმინეთი:*** **სტელია, პეტრესკუ, გეორგე პოპესკუ, ჩებოტარიუ, გალკა, ფილიპესკუ, გაბრიელ პოპესკუ, მუნტიანუ, ჰაჯი (სტინგა, 73, მარინესკუ, 85), მოლდოვანი (ლეკეტუში, 79), ილიე.**
***ინგლისი:*** **სიმენი, გ. ნევილი, ადამსი, კემპბელი, ინსი (ბექემი, 33), ბეტი, ანდერტონი, სქოულზი, ლე სო, შერინგემი (ოუენი, 73), შირერი.**
***გოლები:*** **1-0 მოლდოვანი (47), 1-1 ოუენი (83), 2-1 პეტრესკუ (90).**
***გააფრთხილეს:*** **ფილიპესკუ, ჩებოტარიუ, გეორგე პოპესკუ, ჰაჯი.**
***მსაჯი:*** **მ. ბატა (საფრანგეთი)**

**მატჩის შემდეგ**

**გლენ ჰოდლი (ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ძალიან ცუდათ ვითამაშეთ. ნამდვილად არ მოველოდი ასეთ შედეგს. მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქე უპირატესობას ფლობდა. როცა ბიჭებმა ანგარიში გაათანაბრეს, არ მეგონა, რომ ფრეს მაინც ხელიდან გაუშვებდით, მაგრამ ერთი ქულის აღება ვიუკადრისეთ, რისთვისაც დავისაჯეთ. საერთოდ, ორივე გოლი წარმოუდგენელ სიტუაციაში გავუშვით, თანაც იღბალმა აშკარად შეგვაქცია ზურგი. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში კოლუმბიელები გვიპირსპირდებიან და თუკი გვინდა მერვედფინალში გავიდეთ, ფრეს მაინც უნდა მივაღწიოთ.“

**ანგელ იორდანესკუ (რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ჩვენი გამარჯვება განაპირობა გუნდის ტექნიკურმა და ტაქტიკურმა მრავალფეროვნებამ. რუმინეთმა სამართლიანად მოიპოვა სამი ქულა და, დარწმუნებული ვარ, ფინალამდე მივა“.

იხ. მე-3 გვ.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

(მეორე გვერდიდან)

მატჩი №31. მონპელიე. „სტად დე მოსონი“. 35.500 მაყურებელი

**კოლუმბია — ტუნისი 1–0 (0–0)**

*კოლუმბია:* მონდრაგონი, პალასიოსი, ბერმუდესი, სანტა, კაბრერა, რინკონი (არისტასაბალი, 57), სერნა (ბოლანო, 62), ლოსანო, ვალდერამა, დე ვილა, ვალენსია (პრისიადო,57)

*ტუნისი:* ელ კაერი, ჩუჩანე, ტრაბელსი, კლეიტონი, თაბეტი (გოდბენი, 77), სუაპა, ჩიჰი, ბუაზიზი, ბეია (ბენ აჰმედი, 75), ბენ სლიმანი, სელიმი (ბენ ინეში, 68).

*გოლი:* პრისიადო (84)

*გააფრთხილეს:* სანტა, ბუაზიზი, კლეიტონი

*მსაჯი:* ბ. ჰაინემანი (გერმანია)

**მატჩის შემდეგ**

**ჰენრი კასპერაკი** (ტუნისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „აშკარად არ გაგვიმართლა, არადა, ეს ჩვენი ბოლო შანსი იყო. ღრმად ვარ დარწმუნებული ამ შეხვედრის მოგება შეგვეძლო, ვინაიდან უფრო მეტს ვუტევდით, ვიდრე მეტოქე. სამწუხაროდ, ბოლო მომენტში ბიჭები იბნეოდნენ. ტურნირს გამოვეთიშეთ და, ალბათ, მეც წავალ გუნდიდან“

**ერნან გომესი** (კოლუმბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ტუნისი ხელწამოსაკრავი გუნდი არ გეგონოთ, თავად ნახეთ, რა კარგად ითამაშეს ინგლისელების წინააღმდეგ. ბოლო დღეებია ძალიან მაკრიტიკებენ გუნდიდან ასპრილიას გაძევების გამო. დღეს ყველა დარწმუნდა, რომ უიმისოდაც შეიძლება მატჩების მოგება. ახლა ყველაფერი ინგლისი-რუმინეთის მატჩის შედეგზეა დამოკიდებული და მერე ბოლო მატჩში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ინგლისელებს უნდა მოვუგოთ“.



აი, რა შეუძლია ფეხბურთს – გახარებულ ირანელ მანდილოსნებს ნება დართეს ჩადრი მოეხსნათ

ირანელთა პირველი გოლი



## გერმანია – იუგოსლავია





## კოლუმბია – ტუნისი





მატჩი №30. ლიონი. „ჟერლანი“. 44000 მაყურებელი

**ირანი — აშშ 2–1 (1–0)**

*ირანი:* აბედზადე, ხაკპური, მოჰამედხანი (პეირავანი, 76), ფაშაზადე, ზარინჩე (საადავი, 77), ესტილი, მახდავიკია, მინავანდი, ბაგერი, აზიზი (მანსურიანი, 74), ალი დაეი.

*აშშ:* კელერი, პოუპი, ჰეიდუკი, დული (მეისონიუვი, 83), რეჟისი, მაკბრაიდი, ვეგერლე (რადოსავლევიჩი, 58), რამოსი (სტიუარტი, 58), რეინა, ჯოუნსი, მაქს-მური.

*გოლები:* 1-0 ესტილი (41), 2-0 მახდავიკია (85), 2-1 მაკბრაიდი (88).

*გააფრთხილეს:* რეჟისი, მინავანდი, ზარინჩე.

*მსაჯი:* ურს მაიერი (შვეიცარია).

**მატჩის შემდეგ**

**ჯალალ თალები** (ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „მინდა ალაჰსა და ირანელ ხალხს მხარდაჭერისათვის მადლობა გადავუხადო. მთელი ჩვენი გუნდი ამ მატჩისათვის სპეციალურად ემზადებოდა, ახლა კი შედეგი მოვიმკეთ და უსაზღვროდ ბედნიერნი ვართ. მეტის თქმა აღარ შემიძლია, სიტყვები არ მყოფნის“.

**სტივ სემპსონი** (ამერიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „თავიდანვე ვთქვი, რომ მთელ მატჩს შეტევებში გავატარებდით. ასეც მოხდა, მომენტებიც საკმაოდ გვქონდა, მაგრამ არ გაგვიმართლა. ირანელები მზად იყვნენ ჩვენი იერიშებისათვის და საუცხოოდ დაიცვეს თავი. ჩემი გუნდით კი ვამაყობ, მაგრამ შედეგი მაინც ვერ მოვიმკეთ, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი იმ გულშემატკივრებს, რომლებიც სამი წელი ერთგულად გვქომაგობდნენ“.

მატჩი №29. ლანსი. „ფელიქს ბოლარი“. 41.275 მაყურებელი

**გერმანია — იუგოსლავია 2–2 (0–1).**

*გერმანია:* კეპკე, ტონი, კოლერი, ვიორნსი, ჰაინრიხი, მიოლერი (კირსტენი 58), იერემისი, ჰამანი (მათეუსი, 46), ციგე (ტარნატი, 67), კლინსმანი, ბირჰოფი.

*იუგოსლავია:* კრალი, ჯოროვიჩი, მიხაილოვიჩი, კომლიენოვიჩი, პეტროვიჩი (სტევიჩი, 75), იოკანოვიჩი, სტოიკოვიჩი, სტანკოვიჩი (გოვედარიცა, 68), იუგოვიჩი, მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი (ოგნიენოვიჩი, 58).

*გოლები:* 0-1 სტანკოვიჩი (13), 0-2 სტოიკოვიჩი (54), 1-2 მიხაილოვიჩი (74, საკ. კარში).

*გააფრთხილეს:* მათეუსი.

*მსაჯი:* კიმ ნილტონ ნილსენი (დანია).

**მატჩის შემდეგ**

**ბერტი ფოგტსი** (გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ჩემი გუნდი დაჩოქილი იყო, მაგრამ ბიჭებმა თანდათან ძალ-ღონე მოიკრიბეს და შეუძლებელი შეძლეს. ისე, ამ თამაშის მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ეს შედეგიც საკმარისია. სამწუხაროდ, ზოგიერთ ფეხბურთელს შევატყვე, რომ ვერ შეუგნია მსოფლიო ჩემპიონატის მნიშვნელობა და დაძაბულობა.

**სლობოდან სანტრაჩი** (იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

იხ. მე-4 გვ.

## ჯერ ბრიტანელებმა აურიეს, ახლა გერმანელებმა, ვინ იქნება შემდეგი?



დღე არ გავა საფრანგეთიდან შემაშფოთებელი ამბები არ შევიტყოთ — მონდიალზე ჩასულმა რომელიმე რჯულის გულშემატკივარმა დებოში მოაწყო, ესა და ეს დარღვევა ჩაიდინაო. მარსელში, ინგლისი — ტუნისის მატჩის წინ ბრიტანელთა უზნეობამ ხომ სულ გადარია წესრიგის მოყვარული ადგილობრივი მოსახლეობა. ახლა კი ყურადღების ცენტრში გერმანელი ფანები მოექცნენ, რომლებმაც გერმანია-იუგოსლავიის მატჩის დროს სტადიონის მისადგომებთან აყალმაყალი მოაწყვეს და ერთ-ერთი ფრანგი პოლიციელი ლამის სიცოცხლეს გამოასალმეს — 44 წლის დანიელ ნიველი თავის მძიმე ტრავმით მიიყვანეს საავადმყოფოში. თურმე, საბრალოს, გერმანელი ფანები დაესხნენ თავს და თავში რკინის კეტი ჩაარტყეს.



# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98
COUPE DU MONDE





ჰოლანდიელები კორეელებთან გამარჯვებას ზეიმობენ



ხორვატია – იაპონია

(მესამე გვერდიდან)

„ერთდროულად ბუდნიერიც ვარ და დამწუხრებულიც. შედეგი კარგია, თუმცა, მიგვყავდეს ანგარიში 2-0 და ფრეს დასჯერდე, ძნელია. ჩემმა ბიჭებმა, ეტყობა, ვერ გაითვალისწინეს, რომ გერმანელების წინააღმდეგ უწევდათ თამაში და ნაადრევად მოდუნდნენ.“

**მატჩი №28. პარიზი „პარკ დე პრენსი“. 49300 მაყურებელი.**
**არგენტინა — იამაიკა 5–0 (1–0)**

*არგენტინა:* როა, აიალა, სენსინი (ვივასი, 25), შამოტი, ძანეტი, ალმეიდა, ვერონი, ორტეგა, სიმეონე (პინედა, 80), ბატისტუტა, ლოპესი (გალარდო,75).

არგენტინა – იამაიკა. ხუთივე გოლი ბატისტუტასა და ორტეგას ანგარიშზეა



*იამაიკა:* ბარეტი, მალკოლმი (ბოიდი, 62), სინკლერი, გუდისონი, დეივსი, უიტმორი (ერლი, 74), სიმპსონი, პაუელი, გარდნერი, ჰოლი, ბარტონი (კარგილი, 46).

*გოლები:* ორტეგა (32, 55), ბატისტუტა (72, 79, 83-პენ.)

*გააფრთხილეს:* შამოტი, პაუელი, კარგილი

*გაძევება:* პაუელი (45).

*მსაჯი:* რუნე პედერსენი (ნორვეგია)

**მატჩის შემდეგ**

**რენე სიმოეში** (იამაიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ძნელია კანაკლულად თამაში, მით უმეტეს, ისეთ ტექნიკურ გუნდთან, როგორიცაა არგენტინა. ამ გუნდმა ჩვენთან მცირე ფოლის ტაქტიკით ითამაშა, რაც მსაჯს გამოეპარა, სამაგიეროდ, ჩვენი დასჯა არ დავიწყნია. ისე კი, უკეთესმა გუნდმა გაიმარჯვა“.

**დანიელ პასარელა** (არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „მატჩის დასაწყისში ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა პირველი გოლის შემდეგ მეტოქე გატყდა. რაც შეეხება ბატისტუტას, საფრანგეთში იგი ბომბარდირობისათვის ჩამოვიდა და მისგან გოლებს მუდამ ველი“.

**მატჩი №27. მარსელი. „ველოდრომი“. 60.000 მაყურებელი**
**ჰოლანდია — სამხრეთ კორეა 5–0 (2–0)**

*ჰოლანდია:* ვან დერ სარი, ვინტერი, სტამი, ფრენკ დე ბური, რონალდ დე ბური (ზენდენი, 85), იონკი, დავიდსი, ნუმანი (ბოგარდი, 83), ოვერმარსი, ბერგკამპი (ვან ჰოიდონკი, 76), კოკუ.

*სამხრეთ კორეა:* იუნგ კიმი, იონგ ჩოი, იუნგ II ჩოი, მინ ლი, იო, დეო კიმი (კო, 70), დო კიმი, სენგ ლი, ჰონგი, სუ ჩოი, სეო (დონგ ლი, 75).

*გოლები:* კოკუ (38), ოვერმარსი (42), ბერგკამპი (70), ჰოიდონკი (80), რ. დე ბური (84).

*გააფრთხილეს:* სუ ჩოი, იონგ II ჩოი, კო.

*მსაჯი:* რ. ვუიჩეკი (პოლონეთი).

**მატჩის შემდეგ**

**გუს ჰიდინკი** (ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების თამაშით, შედეგიც დიდებულია, მატჩის დასაწყისში ცოტა გაგვიჭირდა, მერე კი ოსტატობამ თავისი სიტყვა თქვა. ახლა მექსიკასთან მატჩი მაფიქრებს. იგი შუადღით, პაპანაქება სიცხეში ჩატარდება, ეს კი მექსიკელებს უპირატესობას ანიჭებს.“

**ბუნ კუნ-ჩა:** (კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „მინდორზე რომ გამოვედით, გვეგონა ქულას ავიღებდით. მაგრამ ჰოლანდიელებმა წარმოუდგენლად კარგად ითამაშეს. თუ ასე გააგრძელეს, ისინი მსოფლიო ჩემპიონები გახდებიან. სამწუხაროა, მეოთხე ჩემპიონატზე გამოვდივართ და ჯერ მატჩი არ მოგვიგია. შევეცდებით ეს ტრადიცია ბელგიელებთან მატჩში დავარღვიოთ“.



ბელგია – მექსიკა

**მატჩი №26. ნანტი. „ლა ბოჟუარი“. 36000 მაყურებელი**
**იაპონია — ხორვატია 0-1 (0–0)**

*იაპონია:* კავაგუჩი, ნარაჰაში (მორიშიმა, 80), სომა, იჰარა, იამაგუჩი, ნაკატა, ნაკაიამა (ოკანო, 61), ნანამი (ლოპესი, 84), აკიტა, იო, ნაკანიში.

*ხორვატია:* ლადიჩი, შტიმაცი (ვლაოვიჩი, 46), ბილიჩი, ასანოვიჩი, პროსინეჩკი (მარიჩი, 68), შუკერი, სტანიჩი (ტიუდორი, 88), სოლდო, იარნი, სიმიჩი, იურჩიჩი.

*გოლი:* შუკერი (77).

*გააფრთხილეს:* ნანამი, პროსინეჩკი, ნაკანიში, აკიტა, სტანიჩი.

*მსაჯი:* რამეშ რამდანი (ტრინიდადი და ტობაგო).

**მატჩის შემდეგ**

**ტაკეში ოკადა** (იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ჩვენი მთავარი ამოცანა შემდეგ ეტაპზე გასვლა იყო, მაგრამ ახლა უკვე მხოლოდ თეორიული შანსებიღა დაგვრჩა. ამომავალი მზის ნაკრებს დიდი მომავალი აქვს“.

**მიროსლავ ბლაჟევიჩი** (ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ამბიციები უკვე დავიკმაყოფილეთ – პატარა ქვეყნიდან ჩამოსულები მსოფლიო ფეხბურთის ელიტის ნაწილი გავხდით“.

**მატჩი №25. ბორდო. „ლესკური“. 36.500 მაყურებელი**
**ბელგია — მექსიკა 2–2 (1–0)**

*ბელგია:* დე ვილდე, სტალენსი, ვიდოვიჩი, ბორკელმანსი, ვან დერ ელსტი (ბოეკი, 72), ვილმოტსი, ოლივეირა, ნილისი (მპენზა, 81), შიფო, ბოფინი (ვერჰეიენი, 63), დეფლანდრე.

*მექსიკა:* კამპოსი, სუარესი, სანჩესი, დავინო, რამირესი, გარსია ასპე (ლარა, 71), ბლანკო, პარდო, ერნანდესი, პალენსია (არელანო, 46), ორდიალესი (ვილა, 59).

*გოლები:* 1-0, 2-0 ვილმოტსი (43, 48), 2-1 გარსია ასპე (60, პენ.), 2-2 ბლანკო (68).

*გააფრთხილეს:* ბლანკო, რამირესი, ვერდოვიჩი.

*გააძევეს:* პარდო (28), ვერჰეიენი (64).

*მსაჯი:* ჰიუ დალასი (შოტლანდია).

**მატჩის შემდეგ**

**ჟორჟ ლიკენსი** (ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ვარ: აუტანელი სიცხე იყო, თითო მოთამაშემ, ალბათ, 4-4 კილო დაიკლო და ამასთან მხოლოდ ქულა ავიღეთ, ფაქტიურად მოგება ხელიდან გავუშვით. ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით ასეთი რამ არ უნდა დაგვმართოდა. ახლა ჯგუფის ბოლო მატჩი კორეელებთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ“.

**მანუელ ლაპუენტე** (მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „რთული მატჩი გვქონდა. ძალიან გაგვიჭირდა, როცა ფეხბურთელი მინდვრიდან გაგვიძევეს. და მაინც, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ფრეს, ვფიქრობ, სავსებით იმსახურებდნენ. ისე, მადა მაში მოდისო, მესამე გოლის გატანაც შეგვეძლო“.

## ესეც საინტერესოა!

## „საფრანგეთი–98“ გასტრონომიული ციფრებით

სოციოლოგიური გამოკითხვებით დღეს ფეხბურთით მთელი საფრანგეთი კი არა, მხოლოდ ქვეყნის მესამედი ცხოვრობს. გამოკითხულთა ორმა მესამედმა სრული გულგრილობა გამოთქვა ტურნირისადმი, ბევრმა გულისწყრომით შენიშნა ის უხერხულობანი, რასაც ჩემპიონატი ჰქმნის. ამ კატეგორიას, რა თქმა უნდა, ქალები მიეკუთვნებიან, რომელთა ქმრებს მათთან ურთიერთობას ტელევიზორის ყურება ურჩევნიათ. ბევრი დიასახლისი მეორე ტელევიზორის შეძენასაც აპირებს არასაფეხბურთო პროგრამის სანახავად.

სოციოლოგებმა ტელეგულშემატკივართა გასტრონომიული მოთხოვნებიც გამოიანგარიშეს. უმრავლესობა, თურმე მატჩების ყურებისას სიამოვნებით შეექცევა ლუდსა და პიცას, ტრიბუნებზე მსხდომი ფანატები კი ბუტერბროდებს, მინერალურ წყალსა და წვენებს ეტანებიან.

იმ 10 ქალაქის, სადაც ჩამპიონატის მატჩები ტარდება, სურსათით მომარაგება ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტმა გასტრონომიულ ფირმა „ლენოტრს“ მიანდო. მის განკარგულებაშია ათასზე მეტი მომსახურე, რომელთაც ყოველდღიურად სარეალიზაციოდ ეძლევათ 700 ათასი ფუნთუშა და ბატონი, 130 ათასი კვერცხი, 7 ტონა კარაქი, 8 ტონა შაშხი, 10 ტონა თევზეული, 30 ტონა ბოსტნეული. დამზადებული საჭმელი 200 სატვირთო მანქანას გადააქვს სტადიონებზე.

# ინტერტოტოს თასი

## საკვალიფიკაციო ეტაპი • პირველი მატჩები

ტაურისი (სლოვაკეთი) — ომაგ თაუნი (ჩრდ. ირლანდია) 1-0
მაკედონია — ოლიმპია (სლოვენია) 4-2
ინკარასი (ლიტვა) — ბაქი ფეხლესი (აზერბაიჯანი) 1-0
დინაბურგი (ლატვია) — იზეტა (სლოვაკეთი) 1-1
სენტ გალენი (შვეიცარია) — ტულევიკი (ესტონეთი) 3-2
ალთაი (თურქეთი) — შემროკ როვერსი (ისლანდია) 3-1
ეთნიკოსი (კვიპროსი) — ორგრიტე (შვედეთი) 2-1
დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) — დებრეცენი (უნგრეთი) 2-4
ლეიფტური (ისლანდია) — ვორსკლა (უკრაინა) 1-0
ებიე ვეილი (უელსი) — კონგსვინგერი (ნორვეგია) 1-6
ნაციონალი (რუმინეთი) — ჰაპოელი (ჰ., ისრაელი) 3-1
აუსტრია (ავტსრია) — რუხი (პოლონეთი) 0-1
ბალტიკა (რუსეთი) — სპარტაკი (ბულგარეთი) 4-0
სტაბეკი (ნორვეგია) — ვოევოდინა (იუგოსლავია) 1-2
დრაგოვოლიაცი (ხორვატია) — ლუნგბიუ (დანია) 1-4
ჰაბშაიდი (ლუქსემბურგი) — ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) 0-0
დიოშგიორი (უნგრეთი) — შლიმა (მალტა) 2-0
ტურკუ (ფინეთი) — სიონი (შვეიცარია) 0-1
ვაგური (ფარერები) — ბობი (ჩეხეთი) 0-3

*ამ გუნდების განმეორებითი მატჩები გაიმართება 27-28 ივნისს*

# არასტუმართმოყვარე ქუთაისელები და არარეალისტი ერევნელები

INTERTOTO CUP

## ტორპედო (საქართველო) – ერებუნი (სომხეთი) 6-0 (4-0)

***ტორპედო:*** ჭანტურია, ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, ჩხაიძე, დ. ჯანაშია, შ. ხუჯაძე, (თურმანიძე, 66), კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (ჩხეტიანი, 64), მეგრელაძე (მაღლაკელიძე, 85), ჯინჭარაძე, მეტრეველი.
***ერებუნი:*** ავაქიანი, კ. სიმონიანი (ხოშტედიანი, 33), ნარიმანიანი, მარქარიანი (თადევოსიანი, 47), დალაქიანი, მკრტიჩიანი, ა. სიმონიანი (ავეტისიანი, 55), მიქაელიანი, ჰოვანესიანი, ნაზარიანი, არზუმანიანი.
***გოლები:*** მეგრელაძე (2, 28), ვაჩიბერაძე (29), დ. ჯანაშია (43, 82), კვეტენაძე (83).
***მსაჯი:*** იაკობ ჰაიმი (ისრაელი).

ამას მოვესწარით – ევროტურნირმა ქუთაისშიც შეაღწია და საამისოდ „ტორპედოსაც" და რიონისპირეთის მესვეურთაც სათანადო გარჯა მოუწიათ: გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო ქალაქში მოსაწესრიგებელი გახდა მთლიანი ინფრასტრუქტურა. განახლებული სტადიონის მინდორზე გუნდები ახალი გამოსულები იყვნენ, როცა ვაჩიბერაძემ მეტოქის საჯარიმო მოედანში ფლანგური გარღვევა სახიფათო ჩაწოდებით დაასრულა. ბურთს თავი მეგრელაძემ შეაგება და სომხეთის ნაკრების მეკარე ავაქიანი უძლური იყო მარცხისაგან ეხსნა კარი – 1-0.

აუტანელი სიცხის მიუხედავად, მეტოქეებმა სწრაფი ტემპით განაგრძეს თამაში. ნახევარმცველების აქტიური მოქმედების შედეგად, მასპინძლები სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ, რამაც გატანილ გოლებში ჰპოვა ასახვა: ჯერ მეგრელაძემ მშვენიერი დრიბლინგით ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა და ლამაზი ბურთი გაიტანა, შემდეგ ვაჩიბერაძემ, ახლოდან ავაქიანს ცბიერად დაურტყა, ტაიმის მიწურულს კი ჯანაშიამ, ისარგებლა რა სტუმართა გუნდის ცენტრალური მცველების შეცდომით, მეკარესთან პირისპირ გასულმა ანგარიში 4-0-მდე გაზარდა.

საფიქრალი იყო, რომ მეორე ტაიმში „ტორპედო" განმეორებითი მატჩისათვის ძალებს დაზოგავდა და ანგარიშის შენარჩუნებაზე იზრუნებდა, საბედნიეროდ, ქუთათურები კვლავ აქტიურად უტევდნენ ერევნელთა კარს და ჯერ ჯანაშიამ, შემდეგ კვეტენაძემ სტუმრების განადგურებას წერტილი დაუსვეს – 6-0!

განმეორებითი მატჩი ერევნის „რაზდანის" სტადიონზე 28 ივნისს გაიმართება, თუმცა „ტორპედოს" საბოლოო წარმატება ეჭვს არ იწვევს. და მაინც, ქუთაისიდან გამგზავრების წინ „ერებუნის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა არამ ფარსადანიანმა ერთობ ოპტიმისტური განცხადება გააკეთა – ერევანში ექვსბურთიანი ჩამორჩენის ლიკვიდაცია სავსებით რეალურ ამბად მიმაჩნიაო. ძნელი სათქმელია, რას ემყარება სომხური კლუბის მესვეურის ასეთი განცხადება. ნეტარ არიან მორწმუნენი!

# FRANCE 98 INFORMATIONS

## არწივები არწივებად რჩებიან!

ნიგერიის ნაკრები ამ დღეებში ბევრ მისასალმებელ დეპეშას იღებს. მისალმება გამოაგზავნა ქვეყნის ახალმა სამხედრო მმართველმა გენერალმა აბდულსალამ აბუბაქარმა.

— თქვენი წარმატება მთელ ნიგერიელ ხალხს ახარებს — შემოუთვალა ნაკრებს გენერალმა.

— ესპანელების დამარცხებამ გააჩუმა ის ადამიანებიც, რომლებიც რამდენიმე ამხანაგური მატჩის წაგების შემდეგ მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩის მოხსნას მოითხოვდნენ — წერს ერთ-ერთი ნიგერიული გაზეთი.

## თითქოს ტაისონს გაერტყა...

როგორი შესაგუებელია, ჩემპიონატის პირველივე მატჩში დაგატოვებინონ მინდორი, ორი თამაშით დისკვალიფიკაცია მიიღო და, ისიც არ იცოდე, ამ ასპარეზობაში კიდევ მოგიწევს თუ არა თამაში.

სწორედ ასე დაემართა ჰოლანდიელ თავდამსხმელ პატრიკ კლუივერტს, რომელმაც იდაყვი გაჰკრა ბელგიელ სტალენსს და დაუყოვნებლივ დაისაჯა.

მაინც, რაში იყო საქმე?

— იმიტომ გავარტყი, რომ სტალენსმა საზიზღარი შავი მიწოდა, რითაც მომაყენა შერაცხყოფა — ნერვები ვერ დავიოკე, მაგრამ პროვოკატორიც ხომ უნდა დაესაჯათ?

აი, რა განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების პრეს-ატაშემ:

— თამაში რამდენიც გნებავთ, იმდენი ამნაირი შეხლა-შემოხლაა, მაგრამ სტალენსი ისე წაიქცა, თითქოს თვით მაიკ ტაისონმა გაარტყა.

## ბლანკოს უნიკალური ილეთი

მექსიკის ნაკრების თავდამსხმელ კუამეტოკ ბლანკოს, ამ ჩემპიონატამდე, შეიძლება ითქვას, თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არავინ იცნობდა, ახლა კი...

ყურადღება მიიქცია მისმა ორიგინალურმა ილეთმა, რომელსაც ჟურნალისტებმა „ბლანკოს ნახტომი" უწოდეს. ბლანკო ორივე ფეხს უჭერს ბურთს, და, სანამ დაბნეული მცველები უყურებენ, შორს ისვრის მას. როგორც ფეხბურთის სპეციალისტები ამბობენ, ასეთი მზაკვრული ილეთი მათ, ყოველ შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონატებში, არ უნახავთ. აი, სამაგიეროდ, მექსიკური კლუბის „ნევაკსას" გულშემატკივრები, გუნდისა, სადაც ბლანკო თამაშობს, ამბობენ, რომ ამნაირი და მისი მსგავსი ილეთები ფეხბურთელს ქვეყნის პირველობაზე არაერთგზის გამოუყენებია.

## მოიგებ, შნიცელს მოგართმევენ!

თქვენს მტერს, ავსტრიელები რომ ამ შეჯიბრებაში თამაშობენ...

ფეხბურთელები ჩივიან, რომ მთავარმა მწვრთნელმა ჰერბერტ პროჰაზკამ მზარეულებს კატეგორიულად აუკრძალა ავსტრიელების საყვარელი კერძების — შნიცელის, გულიაშის და სხვათა დამზადება. ახლა ფეხბურთელები დილიდან სალამომდე უხალისოდ შეექცევიან ვიტამინებით მდიდარ ბრინჯს, რომელსაც ცოტა პამიდორის წვენიც ასხია.

— გნებავთ, წაგიკითხავთ სამსაათიან ლექციას გემრიელ და სასარგებლო საჭმელებზე, მაგრამ სამი კვირის მანძილზე, დილა-საღამოს, ბრინჯი — ეს უკვე მეტისმეტია — განაცხადა მცველმა რაინმაირმა.

— შინ დღეში ორ ლიტრ ლუდს ვსვამ, აქ კი ჭიქა ღვინოც აკრძალეს — ამბობს მეკარე ვოლფარტი.

— საფრანგეთში ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედით და არა გასასუქებლად — განაცხადა პროჰაზკამ — აი, როცა მოიგებთ, შნიცელს გაჭმევთ.

როდის მოიგებენ?




## რუსეთის რჩეული სულ რაღაც 5 მილიონი ღირს

რუსული ფეხბურთის ახალგამომცხვარი ვარსკვლავი დიმიტრი ალეინიჩევი მოსკოვის „სპარტაკმა" 5 მილიონ დოლარად დაუთმო იტალიურ „რომას". შეგახსენებთ, რომ ალეინიჩევი ჟურნალისტებმა რუსეთის ბოლო სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო იტალიელებს მას შემდეგ მოუვიდათ თვალში, როცა დიმიტრიმ უეფას თასის ნახევარფინალურ მატჩში მილანის „სან-სიროს" სტადიონზე მეტად ლამაზი და ოსტატური გოლი გაუტანა „ინტერს".

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა ლიგა | თასების თასი | უეფას თასი

# მოსულა, ვერც გაგვიგია...

მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების სეზონი ერთობ უხმაუროდ დაგვიდგა — უკვე ინტერტოტოს თასის გათამაშება დაიწყო, ხოლო 6 ივლისს ჩემპიონთა ლიგის, თასების თასის და უეფას თასის 1998-99 წლების გათამაშების კენჭისყრაც მოეწყობა. ევროთასების ასპარეზობაში ტრადიციულად საქართველოს საკლუბო გუნდებიც მონაწილეობენ: თბილისის „დინამო" — ჩემპიონთა ლიგაში, ბათუმის „დინამო" — თასების თასზე, ფოთის „კოლხეთი-1913" — უეფას თასზე, ხოლო ქუთაისის „ტორპედო" — ინტერტოტოზე.

ვფიქრობთ ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება ევროპის ქვეყნების რომელი საკლუბო გუნდები გამოვლენ წლევანდელ ევროტურნირებში.

***იტალია*** — ჩემპიონთა ლიგაში — იუვენტუსი, ინტერი; თასების თასზე — ლაციო, უეფას თასზე — უდინეზე, რომა, ფიორენტინა, პარმა, ინტერტოტოზე — სამპდორია, ბოლონია.

***გერმანია*** — კაიზერსლაუტერნი, ბაიერნი; დუისბურგი; ლევერკუზენი, შტუტგარტი, შალკე-04; ჰანზა, ვერდერი.

***ესპანეთი*** — რეალი, ბარსელონა, ბილბაო; მალიორკა, სოსიედადი, სელტა, ატლეტიკო, ბეტისი; ვალენსია, ესპანიოლი.

***საფრანგეთი*** — ლანსი, მეცი; პსჟ; მონაკო, მარსელი, ბორდო, ლიონი; ოსერი, ბასტია.

***ჰოლანდია*** — აიაქსი, ეინდჰოვენი; ჰერენვენი; ვიტესი, ფეიენოორდი, ტილბურგი; სიტარდი, ტვენტე.

***ინგლისი*** — არსენალი, მანჩესტერი; ჩელსი, ნიუკასლი; ლივერპული, ლიდსი, ბლექბერნი, ასტონ ვილა; ვესტ ჰემი.

***პორტუგალია*** — პორტუ, ბენფიკა; ბრაგა; გიმარაეში, სპორტინგი, მარიტიმუ; ბოავიშტა.

***საბერძნეთი*** — ოლიმპიაკოსი, პანათინაიკოსი; ჰანიონისი; აეკი, პაოკი; იონიკოსი.

***ჩეხეთი*** — სპარტა; იაბლონეცი; სლავია, სიგმა; ჰრადეც კრალოვე, ბობი.

***ნორვეგია*** — რუსენბორგი; ვოლერენგენი; ბრანი, სტრომგოტსეტი, მოლდე; სტაბეკი, კონგსვინგერი.

***ავსტრია*** — შტურმი; რიდი, გრაცერი, რაპიდი; ზალცბურგი, აუსტრია.

***რუსეთი*** — სპარტაკი; ლოკომოტივი; როტორი, დინამო; შინიკი, ბალტიკა.

***ხორვატია*** — კროაცია; ვარტექსი; ჰაიდუკი, ოსიეკი; დრაგოვოლიაცი.

***თურქეთი*** — გალათასარაი; ბეშიქტაში; ფენერბახჩე, ტრაბზონსპორი, ისტამბულსფორი; სამსუნსფორი, ალთაი.

***დანია*** — ბრონდბიუ; კოპენჰაგენი; სილკებორგი, ვეილე; ლუნგბიუ, აბ.

***შვეიცარია*** — გრასჰოპერსი; ლოზანა; სერვეტი, ციურიხი; სიონი, სენტგალენი.

***უკრაინა*** — დინამო; ცსკა; შახტიორი; ვორსკლა.

***უნგრეთი*** — უიპეშტი; მტკ; ფერენცვაროში; დიოშდიორი, დებრეცენი.

***პოლონეთი*** — ლკს; ამიცა ვრონსკი; პოლონია, ვისლა; რუხი.

***ბელგია*** — ბრიუგე; გენკი, ეკერენი, ანდერლეხტი; ჰარელბეკი, ლომელი.

***სლოვაკეთი*** — კოშიცე; სპარტაკი; ინტერი, ტაურასი, დუკლა.

***რუმინეთი*** — სტიაუა; რაპიდი; არჯესი, ოცელული; ნაციონალი.

***შვედეთი*** — ჰალმსტადი; ჰელსინგბორგი; გიოტებორგი, ერებრუ, ორგრიტე.

***კვიპროსი*** — ანართოსისი; აპოლონი; ომონია; ეთნიკოსი.

***შოტლანდია*** — სელტიკი; ჰართსი; რეინჯერსი, კილმარნოკი.

***ისრაელი*** — ბეითარი; მაკაბი (ჰ); ჰაპოელი (თ-ა); ჰაპოელი (ჰ.).

***სლოვენია*** — მარიბორი; რუდარი; მურა; ოლიმპია.

***ბელარუსი*** — დინამო; ლოკომოტივი; ბელშინა; დნეპროტრანსმაში.

***ისლანდია*** — ვესტმანაეიარი; კეფლავიკი; აკრანესი, ლეიფლური.

***ფინეთი*** — ჰიკ; ჰაკა; ვაასანი, ფინპა; ტურკუ.

***ლატვია*** — სკონტო; მეტალურგსი; დაუგავა; დინაბურგი.

***ბულგარეთი*** — ლიტექსი; ლევსკი; ცსკა; სპარტაკი.

***მაკედონია*** — სილექსი; ვარდარი; იუგომაგნატი; მაკედონია.

***ლიტვა*** — კარედა; ეკრანასი; ქალგირისი; ინკარასი.

***იუგოსლავია*** — ობილიჩი; პარტიზანი; ცრვენა ზვეზდა; ვოევოდინა.

***მოლდოვა*** — ზიმბრუ; კონსტრუქტორული; ტილიგული.

***ლიხტენშტეინი*** — ვადუცი.

***ესტონეთი*** — ფლორა; ლანტანა; სადამი; ტულევიკი.

***სომხეთი*** — ერევანი; ცემენტი; შირაქი; ერებუნი.

***ჩრდილო ირლანდია*** — კლეფტონვილი; გლენტორანი; ლინფილდი; ომაგ თაუნი.

***მალტა*** — ლა-ვალეტა; ჰიბერნიანსი; ბირკირკარა; შლიმა.

***უელსი*** — ბერი თაუნი; ბანგორ სიტი; ნიუ თაუნი; ებიუ ვეილი.

***ირლანდია*** — სენტ-პატრიკი; კორკ სიტი; შელბურნი; შემროკ როვერსი.

***ფარერები*** — ბ-36; გი გოტუ; ჰაფნარ ბოლტფელაგი; ვაგური.

***ლუქსემბურგი*** — ჟენესი; გრევენმახერი; უნიონი; ჰობშეიდი.

***აზერბაიჯანი*** — ქიაფაზი; ყარაბაღი; დინამო; ბაქი ფეხლესი.

***ანდორა*** — პრინჩიპატი; სანტა ჯულია; სანტა კოლომა.

***ბოსნია*** — ჟელეზნიჩარი; სარაევო.

## იგნატიევი გადადგა, ჯერჯერობით გერშკოვიჩი ცვლის

ამ რამდენიმე დღის წინ პრესაში გამოქვეყნებული ცნობა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბორის იგნატიევის შესაძლო გადადგომის შესახებ დაადასტურა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა.

— ბორის იგნატიევის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ ჩემთვის დიდად მოულოდნელი არა ყოფილა. ჯერ კიდევ საფრანგეთში გამგზავრების წინ ვესაუბრე, მითხრა, რომ გადადგომას აპირებს. მესმის მისი და არ შევეცდები გადაწყვეტილება შეავცვლევინო. მთავარ მწვრთნელსა და ნაკრების შესახებ, მას შემდეგ, რაც გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მოხვდა, ძალზე არასასურველი აზრი შეიქმნა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრივ კრიტიკის პრესინგში მუშაობა მეტად ძნელია. მით უმეტეს, რომ უახლოეს თვეებში ევროპის ჩემპიონატის უაღრესად საპასუხისმგებლო შეხვედრები მოგველის. ახლა მთავარია, ამ ადგილზე ღირსეული შემცვლელი მოვნახოთ.

ჯერჯერობით იგნატიევს მიხეილ გერშკოვიჩი ცვლის.

## „ნამუსიც კარგი საქონელია, ადამას!"

ისეთი დიდი ავტორიტეტის მქონე კლუბს, როგორიც მოსკოვის „დინამოა", რუსეთის ჩემპიონატის 11 ტურის შემდეგ ერთი გამარჯვებაც არ ჰქონდა და გათამაშების ცხრილში უკანასკნელისწინა, მეთხუთმეტე ადგილი ეკავა. ამ უპრეცედენტო მარცხს, როგორც ყოველთვის, 64 წლის ადამას გოლოდეცს აბრალებდნენ, მის გადადგომას მოითხოვდნენ, მაგრამ...

გოლოდეცი მუშაობას განაგრძობდა, სანამ მას საწვრთნელ ბაზაზე არ მიუვარდა რუსეთის ფეხბურთის მეტრად აღიარებული, ახლო წარსულში მოსკოვის „დინამოს" მწვრთნელი, 78 წლის კონსტანტინ ბესკოვი და პირდაპირ არ უთხრა: „ნამუსიც კარგი საქონელია, ადამას!"

ამის შემდეგ გოლოდეცის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა ყოფილმა სპარტაკელმა გიორგი იარცევმა უკვე ნაწილობრივ გამოასწორა გუნდის მდგომარეობა.

# დევიზი: „სპორტი – ყველასათვის!" ცხოვრებაში მკვიდრდება!

**წყალბურთი** **თბილისის ღია პირველობა**

## თანამშრომლობის მაგალითს იძლევიან

სპორტული ორგანიზაციებისა და სპორტული ბაზების ხელმძღვანელობის შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა საერთო საქმის სასიკეთოდ დღევანდელ პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუნდაც იმიტომ, რომ ერთი სფეროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქცია-მოვალეობები ერთმანეთს არ დაშორდეს. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო (უფროსი ვლადიმერ კანკავა) და საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერე" (დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი) სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების თანამშრომლობის მისაბაძ მაგალითს იძლევა. რომ არა ასეთი თანამშრომლობა, შეუძლებელი იქნებოდა წყალბურთში თბილისის ღია პირველობის ჩატარება ერთბაშად ექვს ასაკობრივ ჯგუფში (1981-დან 1987 წლების ჩათვლით).



„ლაგუნა-ვერე" თავადაა მომავალ წყალბურთელთა მომზადების ყველაზე საიმედო ცენტრი და გასაკვირი არაა პირველობაში მისი გუნდები ჭარბობდნენ. „შევარდენის", „მართვეს", „იმედის", „ჯორჯიას", „ნეპტუნის" და მოწვეულ ბაქოს (1986-87 წლიანები) გუნდებთან პაექრობაში „ლაგუნა-ვერეს" აღსაზრდელებმა ოთხ ასაკობრივ ჯგუფში მოიპოვეს პირველობა, თითო ასაკში გაიმარჯვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „შევარდენის" წარმომადგენლებმა. „მართვე" სამ ასაკში მეორე იყო, ორში — მესამე. „იმედს" ერთი მეორე, ერთი მესამე, „ნეპტუნს" — ერთი მეორე, „ჯორჯიას" — ერთი მესამე ადგილები ხვდათ წილად. ბაქოელებმა უმცროს ასაკში დაიკავეს მესამე ადგილი.

მიხეილ ჭუჭუნავა



## სპორტი კვლავ უბრუნდება ეზოებსა და ოჯახებს

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამაში სპორტს ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრება. იმისათვის, რომ გამოცოცხლდეს საქმიანობა და მასობრივი სახეობები კვლავ მისაწვდომი გახდეს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის, თბილისში მიმდინარეობს კონკურს-დათვალიერება, რომლის მიზანია ათი საუკეთესო ეზოს სპორტული მოედნისა და ათი საუკეთესო სპორტული ოჯახის გამოვლენა. გამარჯვებული ამ თვის ბოლოს გახდება ცნობილი. სურათზე აღბეჭდილია საბურთალოს რაიონში შარტავას ქ №35-ში მდებარე სპორტულ მოედანზე გამართულ კალათბურთელთა ასპარეზობის მომენტი.

ალექსანდრე ქოტორაშვილის ფოტო.

**ძალოვანი სტრუქტურების სპარტაკიადა**

## *შსს — ყველაზე სპორტული ძალოვანი სტრუქტურა*

***საქართველოს პოლიციელებმა სპარტაკიადის ექვსი სახეობიდან ექვსივეში პირველობა მოიპოვეს და მხოლოდ ერთში დაიკავეს II ადგილი***

როგორც ადრე გაუწყეთ თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების სპარტაკიადა და სამ სახეობაში (ქართული ჭიდაობა, ბაგირის გადაძალვა და პოლიატლონში) გამარჯვებულები და პრიზიორებიც გავაცანით. შეგახსენებთ, რომ სამივე პირველობა შსს წარმომადგენლებმა მოიგეს. შემდეგ პოლიციელები უძლიერესები იყვნენ მკლავჭიდში, სიმძიმეების აწევასა და პნევმატური იარაღის სროლაში. თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო საზღვრების დაცვის დეპარტამენტის ნაკრებმა შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს მკლავჭიდში, სიმძიმეების აწევასა და სროლაში.

პირად პირველობაში სროლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თამილა ასათიანი (თავდაცვის სამინისტრო) – 91 ქულა, 2. ხათუნა ბერიკაშვილი (შსს) – 90, 3. ვახტანგ ახალაძე (თავდაცვის სამინისტრო) – 89. სიმძიმეების აწევა (32 კგ-იანი გირი): 1. ლერი ჩიტაშვილი (ასწია 81-ჯერ), 2. ალექსანდრე გოგიაშვილი (66-ჯერ), ორივე შსს, 3. დიმიტრი დოლაშვილი (52-ჯერ) – სახელმწიფო საზღვრების დაცვის დეპარტამენტი.

კომპლექსურ გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. შსს – 6 საჯარიმო ქულა, 2. თავდაცვის სამინისტრო – 14, 3. სახელმწიფო საზღვრების დაცვის დეპარტამენტი – 20, 4. სამთავრობო დაცვა, 5. უშიშროების სამინისტრო – 25-25 საჯარიმო ქულა.

– სპარტაკიადა ამიერიდან სისტემატურად ჩატარდება, დაიხვეწება პროგრამა, უპირატესობა მიენიჭება სპორტის სახეობებს, რომლებიც ძალოვანი სტრუქტურების პირად შემადგენლობას დაეხმარება პროფესიული მომზადების სრულყოფაში – უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ნუხა გაგოშიძემ.



## კანკავამ თასი კანკავას გადასცა

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა თბილისის თასის გათამაშების ფინალური მატჩი 1985 წელს დაბადებულ მოზარდთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ელექტრონიკა" და „ინტერი". გაიმარჯვა „ელექტრონიკამ" (მწვრთნელი გურამ ჩომახიძე) ანგარიშით 3-1. მის კაპიტანს ლევან კანკავას თბილისის თასი გადასცა დედაქალაქის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ ***(იხ. ფოტო)***.

გამარჯვებული გუნდი — „ელექტრონიკა".

ალექსანდრე ქოტორაშვილის ტექსტი და ფოტოები





## პატარა ვაკელებს — „თბილისის თასი"!

ჩვენს დედაქალაქში თუ ვინმეს გულთან ახლოს მიაქვს სპორტსკოლების გარეშე დარჩენილი უბნის მოზარდების ბედი, პირველ ყოვლისა, ეს ითქმის ვაკეში მომუშავე მოზარდ ფეხბურთელთა მწვრთნელებზე, რომლებმაც ათეულობით ბავშვი ჩამოაშორეს ქუჩის მავნე გავლენას. ვაკის ფეხბურთელთა გუნდები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა ასაკის მოზარდთა შეჯიბრებებში. ამჯერად კი სულ პატარებმა, 7-8 წლის ბიჭუნებმა იზეიმეს წარმატება — გაიმარჯვეს თანატოლთა შორის თბილისის თასის გათამაშებაში. „ავაზას" სტადიონზე პირველობას 10 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. მეოთხედფინალში შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი-გიო" — „დინამო-2" 0-4, „ავაზა" — „ვაკე-91" 0-1, „დინამო-3" — „დიდი დიღომი" 2-1, „დინამო-1" — „ოლიმპიკი" 1-1 (პენ. 3-2). ნახევარფინალი: „დინამო-1" — „დინამო-2" 0-1, „ვაკე-91" — „დინამო-3" 1-0. ფინალში ვაკელებმა დინამოელებს სძლიეს 1-0 და თასს დაეუფლნენ. გამარჯვებული გუნდის მეკარემ დათო ნიკოლაიშვილმა, რომელსაც მეტსახელად „ზოიძეს" ეძახიან, საუკეთესო მეკარის პრიზიც დაიმსახურა, ბომბარდირის პრიზიც მის თანაგუნდელ გელა ოქროპირიძეს ხვდა. პრიზები მიიღეს აგრეთვე ბექა მჭედლიძემ („ოლიმპიკი") და გიორგი ტყებუჩავამ („დინამო"). მესამე ადგილი არ გათამაშებულა. „ვაკე-91"-ის მწვრთნელები არიან კობა გაბინაშვილი, ავთანდილ ლოლაშვილი (კლუბის პრეზიდენტია კოტე დოლიძე, დირექტორი ზაზა დიდებაშვილი).

***სურათზე (მარცხნიდან): სხედან*** — აჩიკო ჯანგირაშვილი, ილია სორდია, ცოტნე ცერცვაძე, დათო ნიკოლაიშვილი, დათო ჯანგირაშვილი, ამირან მელაშვილი, ზურაბ ფუტკარაძე. ***დგანან*** — გიორგი შონვაძე, როსტომ მიქაუტაძე, ირაკლი მელაშვილი, აჩიკო მაისურაძე, გელა ოქროპირიძე, შოთა დვაბერიძე, ლაშა ნიკოლაიშვილი. მწვრთნელები — ავთანდილ ლოლაშვილი და კობა გაბინაშვილი.

ტურნირის კვალდაკვალ

# მწირი მომზადებით... ფინალში!

**„ლელო“ უკვე წერდა წყალბურთელთა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის „ბ“ კლასის შერჩევით ტურნირში (ჩატარდა სლოვენიის ქალაქ კრანში) საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატების შესახებ. მან შესანიშნავად განვლო საკვალიფიკაციო შეხვედრები და ჩემპიონატის დასკვნით ტურნირში, რომელსაც 2-11 ივლისს სტამბული უმასპინძლებს, მონაწილეობის უფლება მოიპოვა.**

რედაქციას ეწვია ამ ორთაბრძოლების მონაწილე ორი დინამოელი მცველი — ზურაბ ალავიძე და გალაქტიონ ლაითაძე, რომლებსაც ჩვენმა კორესპონდენტმა ჩამოართვა ინტერვიუ. აი, რა თქვეს მათ:

ზურაბ ალავიძე: — ასეთი მასშტაბის ტურნირში მონაწილეობისათვის ნაკრებს 6-თვიანი მომზადება სჭირდება დღეში ორჯერადი 3-4-საათიანი ვარჯიშითა და 3-4 ტურნირში მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა საშეჯიბრო პრაქტიკისათვის. ტურნირზე გამგზავრების წინ კი აუცილებელია 3-კვირიანი შეკრება. ჩვენთვის ეს მიუწვდომელი ფუფუნება იყო და მხოლოდ სამთვიანი, დღეში თითოსაათიანი ვარჯიშის საშუალება თუ გვქონდა. რა თქმა უნდა, არავითარ ტურნირებში არ გვითამაშია. მიუხედავად ამისა, იცოდნენ რა ჩვენი მომზადების სიმწირის შესახებ, ყველა გაკვირვებული დარჩა ჩვენი გუნდის გამოსვლით.



• *მაინც როგორ მიაღწიეთ ასეთ წარმატებას, თქვენ ხომ ევროპული კლასის საკმაოდ მომზადებული მეტოქეები გყავდათ, „ძველი სამყარო“ კი ამ თამაშის კანონმდებლად ითვლება?*

გალაქტიონ ლაითაძე: — რა თქმა უნდა, ასეთ მეტოქეებთან ჩვენი მომზადებით ვერაფერს გავხდებოდით გუნდს ქართველი ლეგიონერები რომ არ ამოსდგომოდნენ მხარში. კერძოდ — მეკარე ნიკა ასათიანი იტალიიდან, ფორვარდები ზვიად დავითიანი იუგოსლავიიდან, ირაკლი ტატიშვილი გერმანიიდან და ნიკა ჩიქოვანი მოსკოვიდან.

• *ჩვენი საუბარი იმით დაიწყო, რომ ნაკრების წევრთა უმრავლესობა სათანადოდ არ იყო მომზადებული... კერძოდ, რომელ თამაშში იჩინა თავი ამ ნაკლმა?*

გ. ლაითაძე: პირველივე შეხვედრაში, ჩეხებთან. სატურნირო დეფიციტის გამო თამაში, რომელიც 4 ბურთით წავიყვანეთ, ორი გოლის სხვაობით მოვიგეთ — 11:9. უფრო მკაფიოდ ეს დეფიციტი შვეიცარიელებთან ორთაბრძოლაში გამოჩნდა, თამაშის მეოთხე პერიოდამდე წინ ვიყავით — 7:3, საბოლოოდ 7:6 გავიმარჯვეთ.

საბედნიეროდ, ყოველდღიურმა შეხვედრებმა თავისი შედეგი გამოიღო — ფორმაში შევედით და თავისუფლად ვძლიეთ შვეიცარიელებს 10:6. აქ გუნდს მთელი თავისი პოტენციალის გამოვლინების საშუალება მიეცა, რასაც სპეციალისტთა დიდი მოწონება ხვდა წილად. ეს საგანგებოდ აღნიშნა წყალბურთელთა ახალგაზრდულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (ლენა) საგანგებო შეხვედრაზე.

• *კერძოდ, რით მოხიბლეთ „ლენას“ ხელმძღვანელები?*

ზ. ალავიძე: პირველ ყოვლისა, ტემპერამენტითა და სათამაშო აზროვნებით. საგანგებოდ ითქვა, რომ ქართველები უძნელეს სათამაშო სიტუაციებში; უაღრესად სწორი ტაქტიკური გადაწყვეტილებით თავს აღწევდნენ სახიფათო მდგომარეობას. იქვე დაგვიმოძღვრეს, რომ ასპარეზობაში ქართველების გამოსვლა ყველას დაამახსოვრდა და მოუთმენლად ელიან ჩვენს ჩასვლას სტამბულის ფინალურ ორთაბრძოლებში, ამასთან, პირდაპირ გვთხოვეს, რომ კარგად მოვემზადოთ დასკვნითი შეხვედრებისათვის...

ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე

**P.S. გუშინ რედაქცია დაუკავშირდა ჩვენი ნაკრების მოთამაშე-მწვრთნელს, რომელმაც თქვა, რომ ნაკრები ულეგიონერებოდ ემზადება თბილისში, ვინმესთან ამხანაგური მატჩების, თუნდაც მატჩის ჩატარება ვერ მოხერხდა. გუნდი ერთ კვირაში გაემგზავრება სტამბულში, სადაც ჩვენი ლეგიონერებიც ჩავლენ. თუ დასკვნითი ეტაპი წარმატებით განვლეს, ჩვენი წყალბურთელები უმაღლეს „ა“ კლასში გადავლენ, რაც ევროპის ბევრი გუნდის ოცნებაა.**

## ისევე, როგორც მსოფლიო პირველობაზე

უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის 1998 წლის ჩემპიონატი ისეთივე „ნოკაუტ-სისტემით“ მოეწყო, როგორც მსოფლიო პირველობა იმართება. მეტოქეები ორ-ორ პარტიას ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, თანაბარი ანგარიშის შემთხვევაში ორ სწრაფს (25-25 წუთი თითოეულს). თუ აქაც ვერ გამოვლინდებოდა გამარჯვებული, მაშინ ინიშნებოდა ორი „ბლიცპარტია“ (5-5 წუთი).

ბრძოლაში 28 დიდოსტატი და ოსტატი ჩაება. დიდოსტატებს ამ შეჯიბრებაში ბედი არ სწყალობდათ. ვერაფერს გახდნენ ვერც ადორიანი და ფარაგო, ვერც ჩომი და გროსპეტერი.

უნგრეთის ჩემპიონის წოდება ხორვატმა მოიპოვა, რომელმაც ფინალურ მატჩში რუკს სძლია ანგარიშით 4:3.

## კარპოვი არ ითამაშებს

მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვმა ბუდაპეშტში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი მონაწილეობას არ მიიღებს მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში ნოკაუტ-სისტემით, რომელიც დეკემბერში ლას-ვეგასში (აშშ) გაიმართება.

რატომ?

კარპოვის უარი წმინდა იურიდიული ხასიათისაა. იგი არ ეთანხმება ჩემპიონატის საპრიზო ფონდის 5 მილიონიდან სამამდე შემცირებას. გარდა ამისა, კარპოვი აცხადებს, რომ მისი ჩემპიონობის ვადა, წესისა და კანონის თანახმად, ორწლიანი უნდა ყოფილიყო, ახლა კი ერთ წლამდე შემცირდა.

როგორც მიმომხილველები იუწყებიან, კარპოვზე ცუდად იმოქმედა იუდით პოლგართან სწრაფ ჭადრაკში მატჩის წაგებამ, სადაც მან ერთი გამარჯვების მოპოვებაც კი ვერ მოახერხა.

## გალიამოვას არ სურს, მაგრამ...

როგორც ფიდეს სამდივნო იუწყება, ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ალისა გალიამოვასა (რუსეთი) და სიუ ჟუნს (ჩინეთი) შორის ნოემბრის ბოლო რიცხვებსა ან დეკემბრის დასაწყისში დაიწყება პეკინში.

საპრიზო ფონდი არნახულად მაღალია — 120 ათასი დოლარი. არაა გათვალისწინებული გალიამოვას აზრი მატჩის რომელიმე სხვა ქვეყანაში გადატანის შესახებ, რამდენადაც ასეთი საპრიზო ფონდი არავის შეუქმნია.

რაც შეეხება ამ წყვილში გამარჯვებულის მატჩს მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგართან, ფიდე განიხილავს მისი ჩატარების მსურველთა კანდიდატურებს. წელს, რა თქმა უნდა, ალარაფერი მოესწრება.

ამრიგად, გაისად ერთბაშად ორი ქალთა მსოფლიო პირველობა გაიმართება: I მატჩი 16 პარტიისაგან ჟუჟა პოლგარსა და პრეტენდენტს შორის და II მსოფლიო ჩემპიონატი „ნოკაუტ-სისტემით“, სადაც, სავარაუდოდ, 50 მონაწილეა მოსალოდნელი.

ჩოგბურთი

## მწვრთნელის მემორიალი

***რენა აბჟანდაძე საყვარელი ადამიანი და მწვრთნელი იყო. ამ სიყვარულის დასტურია მისი სახელობის მემორიალური ტურნირი, რომელიც მტკვრის სანაპიროზე მდებარე „დინამოს“ ღია კორტებზე ჩატარდა.***

ამ კორტებთანაა დაკავშირებული რ. აბჟანდაძის მთელი სპორტული და სამწვრთნელო კარიერა. განსაკუთრებით იზიდავდა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მოზარდებთან მუშაობა და მისი ხელდასმით არაერთი ახალბედა დაოსტატებულა. მისი პირველი მემორიალიც მთლიანად ახალგაზრდა ჩოგბურთელთაგან შედგებოდა — სხვადასხვა ასაკში 200-მდე ნორჩი იბრძოდა გამარჯვებისათვის.

**კვარცხლბეკი:** *გოგონები:* 1984-1985 წლებში დაბად. 1. ნანა უროტაძე, 2. თამრიკო წიკლაური, 3. სალომე კვაჭაძე (სამივე — თბილისი); 1986-87 წ.წ. დაბ. 1. ლიკა დალაქიშვილი, 2. თამრიკო კვარაცხელია, 3. თათია მიქაძე (სამივე — თბილისი); 1988-89 წ.წ. დაბ. 1. ანა ჯუღელი (ბათუმი), 2. ია ჯიქია, 3. სალომე გველესიანი (ორივე — თბილისი). *ჭაბუკები:* 1979-81 წ.წ. დაბ. 1. გივი მიქელაძე, 2. ანდრო თოლორაია, 3. ლაშა წიკლაური (სამივე — თბილისი); 1982-83 წ.წ. დაბ. 1. გიორგი რევაზიშვილი, 2. ლაშა წიკლაური, 3. ვახტანგ ტატიშვილი (სამივე — თბილისი); 1982-88 წ.წ. დაბ. 1. ლაშა დათაშვილი, 2. რატი კილაძე, 3. დათო მეფარიშვილი (სამივე — თბილისი). 1988-89 წ.წ. დაბ. 1. გიორგი ხრიკაძე (თბილისი), 2. პავლე აღაბალიანი (ბათუმი), 3. მერაბ ქაშიბაძე (თბილისი), 1990-91 წ.წ. დაბ. 1. ლაზარე ქუხალაშვილი (თბილისი), 2. სურენ ვართანიანი (ბათუმი), 3. ალექსანდრე ირემაშვილი (თბილისი).

**გივი ლუკაშვილი, სპორტის ოსტატი.**

ჭადრაკის ამბები

# ჭადრაკის ფანატიკოსი სენიორი რენტერო



ლუის რენტერო სუარესი

**ესპანელი მილიონერი ლუის რენტერო ყმაწვილობაში ითვლებოდა ნიჭიერ მოჭადრაკედ, შემდეგ თამაშს თავი დაანება, მაგრამ ბავშვობის სიყვარულს ვერ უღალატა. ახლა იგი ცნობილია იმით, რომ მშობლიურ ქალაქ ლინარესში სეზონის უძლიერეს საერთაშორისო ტურნირებს მართავს, ერთხანს, თუმცა ამაოდ, შეეცადა ჭადრაკისთვის რობერტ ფიშერი დაებრუნებინა.**

გთავაზობთ ჟურნალ „64“-ში გამოქვეყნებულ ლუის რენტეროს ვრცელი ინტერვიუს ნაწყვეტებს.

• ***დამოუკიდებელი „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს“ შექმნა გამოაცხადეთ. ვისგან გნებავთ დამოუკიდებელი იყოთ: ფიდესაგან, კასპაროვისაგან თუ საერთოდ, ყველასაგან?***

— ვფიქრობ, გასაგებია, ფიდესაგან. ახლა მსოფლიო ჩემპიონის შესახებ, რომელიც ჩემი მტკიცე რწმენით, მხოლოდ და მხოლოდ კასპაროვია. დღემდე ყველა ხელმძღვანელი იმ ორგანიზაციის, რომლებიც ან კასპაროვმა შექმნა, ან მათში შედიოდა, ყოველთვის მეტად ამაყობდნენ მასთან მეგობრობით. მან იცის, რომ პირდაპირი კაცი ვარ და ძალიან მიყვარს ჭადრაკი. რვა თვის წინათ მადრიდის რესტორანში საუბრისას იგი გავაფრთხილე: „თუკი შენ გინდა პრეზიდენტი-ორგანიზატორი, რომელსაც უკარნახებ, რა უნდა გააკეთოს — მე ასეთი კაცი არა ვარ, არ გამოგადგები“. მან კი გულისტკივილით განაცხადა, რომ უკვე ორ ორგანიზაციასთან განიცადა ფიასკო: „დიდოსტატთა მსოფლიო ასოციაციასთან“ და „პროფესიულ საჭადრაკო ასოციაციასთან“.

• ***მესამესთანაც იგივე ხომ არ მოუვა?***

— არა. მან მაშინვე თქვა: „თქვენთან უშეცდომოდ ვიმუშავებთ“. მან იცის, რომ რენტერო წინამორბედების შეცდომებს არ გაიმეორებს, და თვითონაც ისე მოიქცევა, როგორც საჭიროა. ჩემპიონის მიმართ მტკიცე პოზიციას დავიკავებ და ისიც მიიღებს ჩემს დისციპლინას.

• ***მტკიცე ხასიათის ადამიანებს უჭირთ ერთმანეთთან ურთიერთობა. აი, კარპოვთან ხომ უკვე შეწყვიტეთ ურთიერთობა.***

— რაც შეეხება კარპოვს, ყოველთვის მეტად გულთბილი ურთიერთობა გვქონდა. იგი ჩემთან ოჯახში დადიოდა და, ბევრჯერ უსადილია კიდეც. სამწუხაროა, რომ მრავალწლიანი მეგობრობის მიუხედავად, არც კი იკადრა ჩემთვის შეეტყობინებინა, რომ ლინარესში არ ითამაშებდა. განა ძნელი იყო ეცნობებინა, რომ ლინარესში ჩამოსვლა არ სურდა (ან თამაშის სურვილი არა ჰქონდა). ამიტომაც გავუგზავნე ყველასათვის ცნობილი სასაყვედურო წერილი. უარის თქმაში კი არ ვამტყუნებ, არამედ იმაში, რომ არაფერი შემატყობინა. მისი ამპარტავნული დუმილი არ დამიმსახურებია.

მაგრამ მოდით დავანებოთ თავი პირად ურთიერთობებს. სჯობს ფიდესთან ჩვენს დამოკიდებულებაზე ვისაუბროთ.

• ***კეთილი. მსოფლიოში არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საჭადრაკო სამყაროში კი მის როლს ფიდე ასრულებს. არ შეიძლება საჭადრაკო სამყაროდან ფიდეს განდევნა, იგი ხომ ასორმოცდაათზე მეტ ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს.***

— ფიდეს საწინააღმდეგო საერთოდ არაფერი მაქვს, სულაც არ ვაპირებ მასთან ომს. მხოლოდ ის მინდა, რომ მსოფლიო პირველობის გათამაშებაში სამართლიანობამ გაიმარჯვოს.

• ***ეს დეკლარაციაა, არსებითად კი თქვენ კონფრონტაციის მდგომარეობაში ხართ. უცნაურია, აქამდე პრეზიდენტ ილიუმჟინოვთან ერთხელაც არ გისაუბრიათ საქმიანად, საფუძვლიანად.***

— ეს საუბარი მასთან ძალზე სასიამოვნო და სასარგებლო იქნებოდა... ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ორიოდე სიტყვა ვუთხარი, ილიუმჟინოვს იმ მომენტში კამპომანესი ერთი წუთითაც კი არ მოშორებია. ამბობენ, თითქოს კამპომანესი თამაშიდან გამოვიდა, სინამდვილეში კი მას და მის კამარილიას ფიდეს ხელმძღვანელობაზე დიდი ზეგავლენა აქვს.

• ***თქვენ მკვეთრ გამოთქმას ხმარობთ, კამარილია ხომ სამეფო მნიშვნელობით იხმარება, რომელიც სახელმწიფო საქმეებზე პირადი გამორჩენის მიზნით ახდენს გავლენას.***

— დიახ, დიახ, სწორედ ასე დაწერეთ ჩემი სახელით. იმ კაცის სახელით, რომელსაც უბრალოდ, ჭადრაკი უყვარს, ეს სიყვარული კი ფული უღირს. ამ ადამიანების ჯგუფს კი სურს ფიდესთან დარჩეს, სადაც ილიუმჟინოვის მთელ ფულს არ შეჭამს. სწორედ მათ შექმნეს არანორმალური, ისე კი თავიანთთვის მეტად ხელსაყრელი სიტუაცია, რომ მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ. ამიტომაც აქციეს მსოფლიო ჩემპიონად კარპოვი, თუმცა ამ წოდების ნამდვილი მფლობელი კასპაროვია.

• ***არავის დაცვა არ მსურს. ეს სულაც არა სჭირდება ილიუმჟინოვს, აბსოლუტურად დამოუკიდებელ პიროვნებას. იგი, ისევე როგორც თქვენ, სხვების აზრს კი ისმენს, მაგრამ საკუთარი გადაწყვეტილებებით მოქმედებს. საკმარისად ერკვევა ჭადრაკში, აღიარებს, რომ კასპაროვი კარპოვზე უკეთესად თამაშობს. მაგრამ როგორც კასპაროვი და კარპოვი, ისევე ანანდი, კრამნიკი და სხვა უძლიერესი დიდოსტატები თანაბარი უფლებისანი არიან იმ სისტემაში, რომლის დამკვიდრებასაც ილიუმჟინოვი ცდილობს. იგი პირველივე ცდით შეეცადა ამის ორგანიზებას. კასპაროვის უარის შემდეგ ცაიტნოტშიც აღმოჩნდა და ცუგცვანგშიც. ამავე დროს, საყოველთაო აზრით, ცუდი სვლა გააკეთა, თუმცა იგი იძულებითად მიიჩნია — კარპოვი პირდაპირ ფინალში დაუშვა.***

— ასეა თუ ისე, არ შეიძლება უკასპაროვოდ ჩემპიონატის მოწყობა იმ მონაწილეებისგან, რომლებიც კასპაროვმა უკვე დაამარცხა.



*რაზე ჩაფიქრებულა გარი კასპაროვი? რა თქმა უნდა, გონებით იგი უკვე ლინარესშია, სადაც ოქტომბერში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოელის*

• ***თქვენ კასპაროვის უფლებების დაცვის სპეციალური ორგანო შექმენით?***

— ორგანო კასპაროვთან მატჩის ორგანიზაციისათვის, გარდა ამისა მთელი რიგი ტურნირების ორგანიზაციისათვის, რომელთაგან მთავარი ლინარესი იქნება.

• ***ლინარესში შეირჩევიან შემდეგი პრეტენდენტები?***

— შესაძლებელია ასეც მოხდეს. მომდევნო ციკლში 12 უძლიერესს მივიწვევთ. ახლა მთავარია თავი დავაღწიოთ უსამართლობას, რომელიც ფიდემ დაამკვიდრა. ცაიტნოტში ვართ, საჭიროა მსოფლიო პირველობაზე მატჩის სწრაფი ორგანიზაცია.

• ***თქვენ თითქმის ილიუმჟინოვის სიტყვებს იმეორებთ: მაგრამ ფიდემ ხომ ასი უძლიერესი მოჭადრაკე შეარჩია და უმძლავრესი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერაც უზრუნველჰყო. თქვენთან კი ვინ არის, სამი მართლაც დიდებული დიდოსტატის გარდა?***

— უკვე მაქვს ორი მილიონი დოლარი, რომელიც ანდალუზიის მთავრობამ მომცა, სავსებით რომ მენდობა. ჩემი ორგანიზატორული გამოცდილების იმედი კარპოვსაც აქვს, რაც ცოტას როდი ნიშნავს. მყავს ძალზე კომპაქტური გუნდი. მე — პრეზიდენტი რენტერო, ვიცე-პრეზიდენტია შვეიცარიელი საბანკო მოღვაწე უილიამ ვირტი. დიახ, ვიცი, რომ იგი კასპაროვის ახლო მეგობარია, მაგრამ გადაწყვეტილებებს ხომ მხოლოდ მე ვიღებ. ჩვენი მდივანია მანუელ როდრიგესი, ჩემი მრჩეველი და იურისტი ანდალუზიაში. კიდევ გვყავს ერთი ესპანელი — ჩვენი ხაზინადარი ალფონსო სერანო.

• ***და არც ერთი მოჭადრაკე?***

— არც ერთი, არც ერთი. ან განკარგულებებს მე ვიძლევი! თუმცა თანახმა ვარ ზოგი პროფესიული კონსულტაციაც მივიღო ამა თუ იმ სპეციალურ საკითხში.

## საქართველოს სპორტულ ფედერაციებში

**ძიუდოს ფედერაციამ** 22 ივნისს, საღამოს, გზა დაულოცა მოსკოვის გავლით მაკედონიაში ევროპის ჩემპიონატზე მიმავალ იუნიორ ათლეტებს. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ამ ასპარეზობაში საქართველოდან გამოვლენ გორელები ოთარ თუშიშვილი (56 კგ) და მამუკა არუთინიანი (60), ონელი თენგიზ ბაკურაძე (70), თბილისელები თამაზ გეგეშიძე (83), მიხეილ ტურაშვილი (90) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე). უფროსი მწვრთნელია ნუგზარ სხიერელი. გუნდს ახლავს მსაჯი – ჯუმბერ დავლიანიძე. დელეგაციას უხელმძღვანელებს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი.

**ფრენბურთის ფედერაციამ** ნასესხები ფულით ჩაატარა ქალთა და ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატების I ტურის მატჩები. II ტურის შეხვედრები აგვისტოშია დაგეგმილი ბათუმში, მესამე ეტაპს კი ქუთაისი უმასპინძლებს. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1500 ლარი გამოყო, მთავარია, მიიღებს თუ არა ამ ფულს ფედერაცია, ანუ მიიღებს თუ არა ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას სპორტის დეპარტამენტი.

**კალათბურთის ფედერაციას** რუსეთის ფედერაციამ დაუდასტურა, რომ თანახმაა, ქვეყნის საკალათბურთო გუნდებმა იასპარეზონ თბილისში დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირში.

## ქართული სპორტის პრობლემები – ქართულ პრესაში

„სახელმწიფომ როგორმე უნდა შესძლოს, რომ რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელს მაინც მიხედოს... ლეგიონერებით ქვეყნის ნაკრები ვერ იარსებებს. ფაქტი სახეზეა: ვერა და ვერ გადავლახეთ ჩემპიონთა ლიგა, ხან 5:0, ხან კი 5:1 ვაგებთ“.

*„მერიდიანი-44“ (№62)*

„დღევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, სპორტის სახეობით, შეჭირვება ქვასაც აატირებს...“

*„დილის გაზეთი“ (№136).*

შეკითხვაზე: „არის ინფორმაცია, რომ ვილაც-ვილაცეები ცდილობენ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები „გადაიბირონ“ და ამით არეულობა მოახდინონ ნაკრებში... სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე პასუხობს: ...ჩვენც გვაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ მავანთ სურთ არეულობა შეიტანონ ეროვნულ გუნდში. მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან ჩვენი ფეხბურთელები არ წამოეგებიან ამაზე...“

*„11X11“ (№82)*

„ქართულ სპორტში, და, საერთოდ, ქართულ მენტალიტეტში ყოველთვის იყო და არის მცდელობა, რომ სიმართლე დამალონ. ...დღესაც არსებობს გარკვეული ჯგუფი, რომელიც ამბობს: ყველაფერი კარგად არის. სამწუხაროდ ისინი არაფრის შეცვლას არ აპირებენ“ (მანუჩარ მაჩაიძე).

*„მერიდიანი-44“ (№68)*

## 6 ივლისს, ჟენევაში

ცნობილი გახდა, რომ 1998/99 წლების ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა ჩატარდება ორშაბათს, 6 ივლისს, ადგილობრივი დროით 12 საათზე ჟენევის „ნოგა ჰილტონის“ სასტუმროს მთავარ კაზინოში. კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საფეხბურთო კლუბების თბილისისა და ბათუმის „დინამოს“, ფოთის „კოლხეთი-1913“-ის წარმომადგენლები.

**„ლელოს“** წინა ნომერში გამოქვეყნებული ფოტოსურათები შეუცდომლად ამოიცნეს თბილისელებმა ივანე კალანდიამ (47-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე) და ზურაბ კაჭარაშვილმა (საავიაციო ქარხანა). აღსანიშნავია, რომ ზურაბმა ჩვენს კონკურსებში ამჯერად მეორედ დაამტკიცა, რომ იგი ფეხბურთში კარგად ჩახედული გულშემატკივარია).





**იმუშავეთ ეფექტურად და ჩვენთან ერთად**

ჩვენი დანადგარები დამონტაჟებულია ავტოგასამართ სადგურებზე: „საველიჩი“, „სიერა'ოილი“, „მარს'ოილი“, „გიოჩი“, „დემეტრა“

**თბილისის საწყობიდან:** ვულკანიზაციისა და ბალანსირების დანადგარები, კომპრესორები, 2,5 ტ. მანქანის ამწე, მაღალი წნევის ავტოსამრეცხაოები ორთქლით, ავტოაქსესუარები.

**უფასოდ:**
* შეფ-მონტაჟი
* სპეციალისტების სწავლება
* საგარანტიო მომსახურება

**FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.**

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.


## „ტოტო-ლოტო“ – მოთამაშეთა სიხარული!

*21 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მერვე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვები: **8, 10, 16, 17, 26, 27.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. „ჯეკ-პოტი“ 41.800 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.
5 ციფრი – 902 ლარი.
4 ციფრი – 19 ლარი.
3 ციფრი – 1.50 ლარი.
**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: 1 4 4 0 2 2 0
გამოცნობილია ხუთი ციფრი, მოგება 5.000 ლარი.
ტირაჟის სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:
პრიზი აუდიო მაგნიტოფონი – ქეთი ქარჩავა (თბილისი);
სპორტული კომპლექსი „პუმა“ – ავთო ქათამაძე (თბილისი);
პრიზი 300 ლარი – ვალერი დანდურაშვილი (თბილისი);
პრიზი მტვერსასრუტი – არმენაკ დილბარიანი (ახალციხე);
ტელევიზორი – თამარ შარიქაძე (თბილისი);
მერსედესის მაკეტი – ზარიქა კარიჭაშვილი (თბილისი);
გათამაშდა აგრეთვე აუდიო ტექნიკა.
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 28 ივნისს, ჯეკ-პოტი **41800** ლარია.
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი




**24 ივნისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები. ***I არხი, საქართველოს ხმა.*** სამხრეთ აფრიკა – საუდის არაბეთი (17.50). ***II არხი, იბერია, TV-7.*** საფრანგეთი – დანია (18.00). ***I არხი, იბერია, საქართველოს ხმა, TV-7.*** ესპანეთი – ბულგარეთი (22.50); ***II არხი.*** ნიგერია – პარაგვაი (22.50). ***ОРТ-1.*** საფრანგეთი – დანია (23.55). „პარიზული ტაიმები“ (2.05). ***РТР.*** ესპანეთი – ბულგარეთი (22.50). ***НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (1.10). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (7.30; 14.55; 21.15). ჰოკეი. სტენლის თასი (9.30; 18.30). „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (12.35). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (12.55). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „შინიკი“ – „სპარტაკი“ (23.40). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 12.00; 14.00, 15.00; 17.30; 17.50; 20.00; 22.00; 22.30; 22.50; 1.00; 3.00). ველორბოლა. შვეიცარიის ტური (16.30).

**25 ივნისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა.*** ჰოლანდია – მექსიკა (17.50). ***II არხი.*** ბელგია – კორეა. ***I არხი, TV-7.*** აშშ – იუგოსლავია (22.50). ***II არხი, იბერია, საქართველოს ხმა.*** გერმანია – ირანი (22.50). ***ОРТ-1.*** სამხრეთ აფრიკა – საუდის არაბეთი (II ტაიმი, 11.00). ჰოლანდია – მექსიკა (17.50). აშშ – იუგოსლავია (0.20). ***РТР.*** ნიგერია – პარაგვაი (12.25). ბელგია – კორეა (0.45). ***НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (1.10). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05; 14.30). „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (7.45; 12.35). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „შინიკი“ – „სპარტაკი“ (8.10). ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (10.15; 14.55). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 12.00; 14.00; 17.30; 17.50; 20.00; 22.30; 22.50; 1.00; 3.00). მოტოსპორტი (15.00; 16.00). ველორბოლა. შვეიცარიის ტური (17.00).

**26 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი, II არხი, იბერია, საქართველოს ხმა, TV-7.*** არგენტინა – ხორვატია (17.50). ***II არხი, საქართველოს ხმა.*** იაპონია – იამაიკა (20.00). ***I არხი, იბერია, TV-7. საქართველოს ხმა.*** კოლუმბია – ინგლისი (22.50). ***II არხი, საქართველოს ხმა.*** რუმინეთი – ტუნისი (22.50; 1.00). კავკასია. „ვარსკვლავები“ (17.45). ***ОРТ-1.*** აშშ – იუგოსლავია (11.00); არგენტინა – ხორვატია (17.50); კოლუმბია – ინგლისი (0.15). ***РТР.*** გერმანია – ირანი (12.25). ***НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (1.50). ***НТВ плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილები (7.05; 14.30). „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (7.45; 12.35). ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (8.40; 14.55). კრივი (13.45; 0.25). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 12.00; 14.00 17.50; 20.00; 22.30; 22.50; 1.00; 3.00). მოტოსპორტი (14.30; 15.30; 17.00).

***გაზეთ „ლელოს“ რედაქცია მადლიერებას გამოხატავს გამომცემლობა „სამშობლოს“ ხელმძღვანელების მიმართ ფეხბურთში მსოფლიოს XVI ჩემპიონატის მსვლელობის ოპერატიულად გაშუქებაში ხელშეწყობისათვის.***




**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.


## ყურადღება

თუ „ლელოს“ ახალი ნომრის შეძენა სხვაგან ვერ მოახერხეთ, მიაკითხეთ გაზეთების გამავრცელებელს გამომცემლობა „სამშობლოს“ შესასვლელთან (კოსტავას, 14). თქვენთვის სასურველი „ლელოს“ წინა ნომრები შეგიძლიათ შეიძინოთ უშუალოდ რედაქციაში, კომერციულ სამსახურში (ტელ. 99-81-71; შიდა ტელეფონი 7-60).

## კროსვორდის მაგიერ


1


2


3


4


5


6


7


8

**დღეს ძლევამოსილ „იუვეს“ იმ რვა ფეხბურთელს წარმოგიდგენთ, რომლებიც წინა ნომერში „თამაშგარეშე“ დარჩნენ. ამოიცანით მოთამაშეები და პასუხი წარმოადგინეთ „ლელოს“ რედაქციაში ან დარეკეთ ტელეფონებზე 99-81-71, 99-56-14. გამარჯვებულის ვინაობა გაზეთში გამოქვეყნდება.**

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი „იუვენტუსის“ ფეხბურთელები: 1. პერუცი, 2. მონტერო, 3. ფერარა, 4. დეშამპი, 5. იულიანო, 6. დი ლივიო, 7. დევიდსი. 8. ინძაგი. 9. კონტე, 10. დელ პიერო. 11. ზიდანი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 5 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მფb2!!
1. ...მფc6 2. ეd8,
1. ...მფd5 2. ეh6.


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე